რელიგიური მრავალფეროვნება საქართველოში

გზამკვლევი

ICCN

2008

რელიგიური მრავალფეროვნება საქართველოში

გზამკვლევი

ICCN

წინასიტყვაობა

წინამდებარე პუბლიკაცია ხორციელდება გერმანული ფონდის, **EED**-ის მხარდაჭერით. ამ ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითმა ცენტრმა **(ICCN)** განახორციელა საქართველოში არსებული დენომინაციებისა და რელიგიური ჯგუფების პრეზენტაციები საზოგადოების დაინტერესებული ნაწილისთვის. ამ პრეზენტაციებზე წარმოდგენილი მასალები, სხვა სტატიებთან ერთად, შევიდა წინამდებარე კრებულში.

მასალებისა და ფოტოების მონოდებისათვის მადლობას ვუხდით დენომინაციებისა და რელიგიური ჯგუფების წარმომადგენლებს, რომლებმაც აქტიურად ითანამშრომლეს ჩვენთან პროექტის ფარგლებში, ასევე სააგენტო "**PR-news**"-ს.

განსაკუთრებული მადლობა გვინდა გადაუხადოთ ბატონ ნუგზარ პაპუაშვილს, რომლის ნაშრომიც "საქართველო და მსოფლიო რელიგიები" დიდად დაგვეხმარა ამ კრებულის მომზადებისას.

წიგნი განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისათვის. წიგნის შემდგენლები სიამოვნებით მიიღებენ მკითხველის მიერ გამოთქმულ შენიშვნებსა და წინადადებებს.

წიგნზე მუშაობდნენ:
რუსუდან გოცირიძე
ლელა ქართველიშვილი

ტექნიკური უზრუნველყოფა:
ირინა კაკოიაშვილი
ვახტანგ კავთუაშვილი

© საავტორო უფლებები დაცულია.

ISBN 9789992882-4-1-2

შესავალი

ქართველებს ძალიან გვეამაყება ჩვენი ქვეყნის ეთნიკური და რელიგიური მრავალფეროვნება, რაც მართლაც განძია ყველა ერისათვის. ერთ პატარა უბანში გვერდიგვერდ დგას სიონი, ჯუმა მეჩეთი, სინაგოგა, სომხური და კათოლიკური ტაძრები. სამწუხაროდ, ძალიან მწირია ჩვენი ცოდნა ერთიმეორის შესახებ: ცოტა რამ ვიცით ისლამზე და ჩვენს მეზობელ მუსლიმებზე. ებრაელებზე, იქნებ, მხოლოდ ის ვიცით, რომ 26 საუკუნეა, საქართველოში ცხოვრობენ. ცოტას თუ სმენია, რომ ზაქარია ფალიაშვილი ბავშვობაში კათოლიკური ეკლესიის გუნდში გალობდა.

ამ გზამკვლევის შედგენა მოკრძალებული მცდელობაა ამ რელიგიური მრავალფეროვნების ჩვენების.

რელიგიური სპექტრი

საქართველოს ტერიტორიაზე დაახლოებით 30-მდე რელიგიური ჯგუფია. აქედან 17 ქრისტიანული დენომინაციაა.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია რაოდენობრივად ყველაზე დიდია. იგი საქართველოს მოსახლეობის 83.9%-ს შეადგენს. მათ შორისაა როგორც ეთნიკური ქართველები, ისე რუსები, ოსები და სომხებიც. მნიშვნელოვანია თავად მართლმადიდებელ ეკლესიაში არსებული პატარა ჯგუფების დასახელებაც, რომლებიც ასევე წარმოადგენენ უმცირესობებს. მათ შორისაა ე.წ. "ბოსტონის" ჯგუფი, რომელიც 1996 წელს გამოეყო საპატრიარქოს და მათ გამოყოფას წინ უძღოდა მათივე მოთხოვნით საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მსოფლიო ეკლესიათა საბჭოდან გამოსვლა. ისინი საკუთარ თავს უწოდებენ "**მართლმადიდებელ ეკლესიას საქართველოში**". ეს ჯგუფი დაახლოებით 200-მდე მორწმუნეს ითვლის.

სომხური სამოციქულო ეკლესია სიდიდით მეორე ქრისტიანული თემია და მათივე მონაცემებით, საქართველოში 300 000 მორწმუნეა. სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებზე დაყრდნობით, მთელ საქართველოში რეგისტრირებულია 248929 ეთნიკური სომეხი მოქალაქე. მათგან 171139 სომხური სამოციქულო ეკლესიის წევრია, ნაწილი სომხური წესის კათოლიკეა, ზოგი მართლმადიდებელია, გარკვეული რაოდენობა სხვადასხვა დენომინაციებშია გაფანტული.

კათოლიკურ ეკლესიაში სამი განშტოებაა: ლათინური წესის (რომელშიც შედის რამდენიმე ორდენი), სომხური წესის და ასირიული წესის ეკლესიები. თითოეული წესის ეკლესიას განსხვავებული დაქვემდებარება აქვს ვატიკანთან. ამდენად, ისინი საქართველოში ერთიან კათოლიკურ დენომინაციას ვერ ქმნიან. ისინი წარმოადგენენ ორგანიზაციულად აბსოლუტურად დამოუკიდებელ სუბიექტებს.

მუსულმანური თემი საქართველოში თბილისში, აჭარასა და ქვემო ქართლშია ძირითადად წარმოდგენილი. შიიტებიცა და სუნიტებიც ერთად თანაცხოვრობენ ყოველგვარი პრობლემების გარეშე. მათი უმრავლესობა ეთნიკური აზერბაიჯანელია. გარდა ამისა, არიან ქართველებიც (ძირითადად, აჭარაში) და ქურთებიც. სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებში ერთი დიდი შეცდომაა დაშვებული: იქ იეზიდები მოხსენიებულნი არიან ეთნიკურ ჯგუფად. სინამდვილეში იეზიდები არიან არამუსულმანი ქურთები, რომლებიც ცეცხლს სცემენ თაყვანს.

იუდეველები, როგორც წესი, ეთნიკურ ებრაელებს წარმოადგენენ. საქართველოში ისინი ძალიან დიდი ხანია ცხოვრობენ, თუმცაღა პირველი სინაგოგები საქართველოში მხოლოდ XIX საუკუნეში გვხვდება. საქართველოში არიან როგორც სეფარდები, ისე აშკენაზებიც. თუმცაღა ისინი დადიან ერთსა და იმავე სინაგოგაში.



რელიგიური ჯგუფების გეოგრაფია

რელიგიური ჯგუფების თვალსაზრისით ყველაზე მრავალფეროვანი **თბილისია**. ზოგი პატარა ჯგუფი მხოლოდ **თბილისში** გვხვდება (მაგ: ამერიკელ ევანგელისტ მისიონერთა კავშირი, კვაკერები). თბილისს მოსდევს **ქუთაისი**, რადგანაც თითქმის ყველა რელიგიური ჯგუფი, რომელიც თბილისს გარდა სხვა ქალაქშიც გვხვდება, როგორც წესი, ქუთაისშიცაა. **ბათუმი** მესამე ქალაქია რელიგიური მრავალფეროვნების თვალსაზრისით.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ქალაქებისა, სხვადასხვა რელიგიურ ჯგუფს თავისი "ფილიალი" აქვს კონფლიქტის ზონებში: როგორც **სამაჩაბლოში,** ისე **აფხაზეთში**. აფხაზეთში თავისი ეკლესიები აქვს ევანგელურ-ლუთერულ ეკლესიას და ამ ეკლესიის მეთაური ეპისკოპოსი, იმის გამო, რომ იგი საქართველოს მოქალაქე არაა, ხშირად ჩადის თავისი მრევლის მოსანახულებლად აფხაზეთში. სოხუმში ბაპტისტური ეკლესიაც არსებობს, თუმცაღა ეს ეკლესია საქართველოს ბაპტისტური ეკლესიის დაქვემდებარებაში არაა, მას რუსეთთან აქვს კავშირი. სამაჩაბლოში, კერძოდ კი ცხინვალში, თავისი ეკლესიები აქვთ როგორც ბაპტისტებს, ისე მეშვიდე დღის ადვენტისტებს.

უმცირესობის ჯგუფებს შორის ყველაზე მრავალრიცხოვანი — მუსულმანები — ყველაზე კომპაქტურად დასახლებულები არიან **ქვემო ქართლში**: გარდაბანში, მარნეულში. ბოლნისში ადგილზე უმცირესობაში მყოფმა ქართველებმა აზერბაიჯანელები ქალაქიდან გაასახლეს.


რესტავრაციონიზმი
პროტესტანტიზმი
ანგლიკანიზმი
რეფორმაცია
XVI საუკუნე
დასავლური წესის
კათოლიციზმი
დიდი სქიზმა
1054
აღმოსავლური წესის
კათოლიციზმი
ეფესოს
კრება
431
მართლმადიდებლობა
ქალკედონიის
კრება 451
მონოფიზიტობა
ნესტორიანობა

შინაარსი

ბაჰაიზმი 8

ევანგელურ-ლუთერული ეკლესია 11

იეზიდიზმი 13

იეჰოვას მოწმეები 17

ისლამი 19

იუდაიზმი 25

მეშვიდე დღის ქრისტიან ადვენტისტთა ეკლესია 30

მოლოკნები 34

რომის კათოლიკური ეკლესია 38

ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია 39

მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია 42

ორმოცდაათიანელთა ეკლესია 44

"სიცოცხლის სიტყვა" 45

სომხური სამოციქულო ეკლესია 50

ხსნის არმია 52

ლექსიკონი 57

ცხრილები 65

ბაჰაიზმი



▪ ისტორია მსოფლიოში



ბაჰაის სარწმუნოება 1844 წელს ირანში წარმოიშვა, ისლამის შიიტურ შტოში. ირანი მუსულმანური ქვეყანაა, თუმცა აქ არსებობენ ქრისტიანთა და იუდეველთა თემები, რომელთა გავლენაც თვალშისაცემია ბაჰაის სარწმუნოებაში.

ყველაფერი დაიწყო იმით, რომ ახალგაზრდა ირანელმა, სახელად **ბაბიმ,** დაიწყო ქადაგება, რომ მალე ახალი მოციქული მოევლინება სამყაროს და ის იქნება უფრო დიდი, ვიდრე მოსე, იესო და მუჰამედი. ამის გამო ბაბი და მისი თანამოაზრენი განკვეთილი და დაპატიმრებულნი იქნენ. 1852 წელს ბაბის ერთ-ერთ მიმდევარს ჰქონდა გამოცხადება, რომ სწორედ იგი იყო უფლის ის მოციქული, რომელზეც ბაბი ქადაგებდა და მას ეწოდა **ბაჰა-ულლაჰი,** რაც ნიშნავს "ღვთის დიდებას". ბაჰა-ულლაჰი გარდაიცვალა 1892 წელს. მთელი მისი სიცოცხლე იყო მუდმივი დევნა და გადასახლება. ერთ-ერთი გადასახლების დროს მან დაწერა **ქითაბ-ი-აქდასი**, რაც ბაჰაის სარწმუნოების უმთავრეს რელიგიურ ტექსტს წარმოადგენს.

ბაჰაის სარწმუნოების რელიგიურ-თეოლოგიური სისტემის შემუშავებასა და ამ სარწმუნოების გავრცელებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის **აბდულ-ბაჰას**, ბაჰა-ულლაჰის ვაჟს.

▪ ისტორია საქართველოში

საქართველოში, კერძოდ კი თბილისში 1993 წლიდან "ბაჰაის სასულიერო ასამბლეა" მოქმედებს., რომელსაც ქვეყნის მასშტაბით 500-მდე მიმდევარი ჰყავს.

▪ რწმენა

ბაჰაის რწმენის მიხედვით, ღმერთმა ეს სამყარო შექმნა სიყვარულით და ადამიანების დიდი სიყვარულის გამო მათთან დადო აღთქმა, ერთგვარი ხელშეკრულება. ეს ხელშეკრულება ორმხრივ ვალდებულებებს გულისხმობს. ღმერთი ობლად არ ტოვებს კაცობრიობას, იგი თავის ნებას უცხადებს ადამიანებს მოციქულის, მისი ნების განმცხადებლის მეშვეობით. ასეთი განმცხადებელი თავის დროზე იყო **იესო**, ხოლო თანამედროვე დროში — **ბაჰა-ულლაჰი**. ორივე სარკესავით ირეკლავს ღვთის სახეს. თუ გვინდა, შევიმეცნოთ ღმერთი და გავიგოთ მისი ნება, უნდა მოვუსმინოთ ქრისტესა და ბაჰა-ულლაჰს.

ღვთის ნება კი მთელი სამყაროს ერთ სამწყსოში გაერთიანებაა. ბაჰაის სარწმუნოება აღიარებს შემდეგ წინასწარმეტყველებს:

- აბრაამი
- მოსე
- კრიშნა
- ზოროასტრა
- ბუდა
- იესო ქრისტე
- მუჰამედი
- ბაბი
- ბაჰა-ულლაჰ

> **"ადამიანებო, თქვენ ერთი ხის ნაყოფები და ერთი ტოტის ფოთლები ხართ"** ქადაგებს ბაჰა-ულლაჰ.

ბაჰაის სარწმუნოების არსებითი ნიშანიც სწორედ ესაა — რასებისა და ტომების ერთიანობისაკენ მოწოდება. მათი გადმოსახედიდან კაცთა მოდგმა მშვენიერი ბაღის მსგავსია, სადაც სხვადასხვა ფერისა და არომატის ყვავილები ხარობენ. მშვენიერების საწინდარი სწორედ ეს მრავალფეროვნებაა. **"ადამიანებო, თქვენ ერთი ხის ნაყოფები და ერთი ტოტის ფოთლები ხართ"** — ქადაგებს ბაჰა-ულლაჰი.

უმთავრესი რელიგიური მომენტი ბაჰაის სარწმუნოებაში ყოველდღიური ლოცვაა. ლოცვა შეიძლება ყველგან, რადგანაც ღმერთი ყველგანაა.

ბაჰაის სარწმუნოება აღიარებს ღმერთს, რომელიც არის:

- ერთადერთი, სამყაროს შემოქმედი, რომელსაც ეკუთვნის ყოველი ქმნილება.
- ღმერთი არის სრულყოფილი, ყოვლისშემძლე და ყოვლის მცოდნე.
- სამყაროს დაარსებიდან მრავალმა რელიგიამ შემოქმედს სხვადასხვა სახელი დაარქვა, თუმცა ყველა მათგანი ერთსა და იმავე ღმერთს ქადაგებს.
- ღმერთის შემეცნება ადამიანის გონებისათვის შეუძლებელია.
- ღმერთის გაგება შეიძლება მისი განსაზღვრების გაგების დონეზე.
- ერთადერთი რისი გაგებაც შეგვიძლია ღმერთის შესახებ ისაა, რომ ის არსებობს.

ბაჰაის მორწმუნეთა დღესასწაულები:

ბაჰა-ულლაჰის ამაღლება

ეს წმინდა დღე — 29 მაისი დილის 3 საათი — დადგენილია ბაჰა-ულლაჰის გარდაცვალების მოსახსენიებლად.

ბაბის დაბადება

20 ოქტომბერს მსოფლიოს ყველა კუთხეში ზეიმობენ წინასწარმეტყველ ბაბის დაბადებას.

ბაბის ქადაგების დღე

ესაა დღე, როდესაც უფლის გამოცხადების შემდეგ ბაბი წარდგა ხალხის წინაშე და აუწყა თავისი მისიის შესახებ — 22 მაისის მზის ჩასვლიდან ორი საათის შემდეგ.

ბაბის წამების დღე

ეს წმინდა დღე დადგენილია ბაბის მოწამებრივი სიკვდილის გასახსენებლად, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1850 წლის 9 ივლისს. როდესაც ირანის რელიგიურმა ლიდერებმა ნახეს, რომ ბაბი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა ხალხში, გადაწყვიტეს, საპყრობილიდან გამოეყვანათ და სიკვდილით დაესაჯათ. შუადღისით იკითხება განსაკუთრებული ლოცვა.

ნავროზობა

ბაჰაის სარწმუნოების მიხედვით ნავროზობა (თარგმანში "ახალ დღეს" ნიშნავს) ახალი წლის საოჯახო დღესასწაულია, რომელიც 21 მარტს აღინიშნება. მარტი ბაჰაის კალენდარში პირველი თვეა.

ცხრამეტდღიანი მარხვა

ახალი წლის დადგომამდე ყველა მორწმუნე მარხულობს ცხრამეტი დღის მანძილზე. ეს არის სულიერი დისციპლინა. უარს ამბობენ ხორციელ სიამოვნებაზე და საკუთარ თავს უღრმავდებიან.

ცხრამეტი დღის დღესასწაული

ყოველი თვის მეცხრამეტე დღეს ბაჰაის მორწმუნეთა თემი იკრიბება. დღესასწაული იწყება ლოცვებისა და საკითხავების კითხვით. შემდეგ მსჯელობენ თემის საკითხებზე.

რიდვანი

სწორედ რიდვანის ბაღში ჰქონდა ბაჰა-ულლაჰს გამოცხადება, როცა ეუწყა, რომ ის იქნებოდა უფლის ნების განმცხადებელი, ახალი წინასწარმეტყველი, რომელზეც ქადაგებდა ბაბი. აღინიშნება 21 აპრილს.

ევანგელურ ლუთერული ეკლესია

ევანგელურ-ლუთერული ეკლესია პროტესტანტული ეკლესიაა და ატარებს დიდი რეფორმატორის **მარტინ ლუთერის** სახელს.

▪ ისტორია მსოფლიოში

მარტინ ლუთერი 1483 წელს მორწმუნე კათოლიკეების ოჯახში დაიბადა. 24 წლის ასაკში ლუთერი ბერად აღიკვეცა, მღვდლად ეკურთხა, საუნივერსიტეტო განათლება შეიძინა და თეოლოგიის დოქტორი გახდა. ბიბლიის, კერძოდ კი რომაელთა წერილის კითხვისას აღმოაჩინა ის მნიშვნელოვანი რამ, რამაც განაპირობა მისი შემდგომი მოღვაწეობა, ბრძოლა და, ზოგადად, მთელ საქრისტიანოში უმნიშვნელოვანესი მოვლენის — "რეფორმაციის" დაწყება. კერძოდ, მარტინ ლუთერი მივიდა დასკვნამდე, რომ გადარჩენის ერთადერთი საშუალება ქრისტეს მიმტევებელი სიყვარულია (რომ. 1:17), რომ რწმენა საქმეზე უწინარესია.

საკუთარი თეოლოგიური სისტემა ლუთერმა 95 თეზისად წარმოადგინა 1517 წელს, რომელიც ვიტემბერგის კათედრალის კარზე მიაჭედა. პაპმა პროტესტანტ ბერს სინანულისკენ მოუწოდა. ლუთერმა უარი განაცხადა სინანულზე.

ლუთერი ბოლომდე დარწმუნებული იყო, რომ მისი მოღვაწეობა კათოლიკური ეკლესიის რეფორმირებას ემსახურებოდა და არა ახალი დენომინაციის ჩამოყალიბებას.

ლუთერის ღვაწლი ფასდაუდებელია გერმანელი ხალხის წინაშე. მაშინ, როცა ლუთერმა დაიწყო ბიბლიის უზენაესი ავტორიტეტის ქადაგება, დაინახა საჭიროება საღვთო წერილის თანამედროვე გერმანულზე თარგმნისა, რაც თავადვე განახორციელა. თავისი მოღვაწეობის მხარდასაჭერად ლუთერმა საერო დიდგვაროვნები მიიმხრო.

▪ ისტორია საქართველოში

არსებობს მოსაზრება, რომ ლუთერელობა ათაბაგ მზეჭაბუკის ინიციატივით საქართველოში ლუთერის დროსვე შემოვიდა, თუმცა, ეს მოსაზრება არ დასტურდება. სამაგიეროდ,

1817-1818 წწ. საქართველოში ჯგუფებად ჩამოსახლდნენ ლუთერელები. მაშინ ეს ადამიანები ესქატოლოგიურმა შიშმა ჩამოიყვანა, რადგან დარწმუნებულები იყვნენ, რომ მეორედ მოსვლა ახლოვდებოდა და ევროპა სისხლში ჩაიხრჩობოდა. ჩამოსულმა ლტოლვილებმა კოლონიები დააარსეს აღმოსავლეთ საქართველოში. 1914 წლის მონაცემებით, ამიერკავკასიაში 21000 ლუთერელი ცხოვრობდა, აქედან ეთნიკური გერმანელი იყო 17 000. მათ განაგებდა სინოდი, რომელიც იყო თბილისში და რომელსაც სათავეში ედგა ობერპასტორი.

აღსანიშნავია საქართველოში ცხოვრები გერმანელების შრომისმოყვარეობა და გულმოდგინება. ამისი ნათელი მაგალითი იყო ბოლნისი, რომელსაც "ლუქსემბურგს" უწოდებდნენ.

პირველი და მეორე მსოფლიო ომების დროს საქართველოს ლუთერელებს გერმანელებთან კავშირი დაედოთ ბრალად. დაიწყო მათი დევნა და გადასახლება, დაუხურეს ეკლესიები და სკოლები, დევნა-შევიწროება გრძელდებოდა "პერესტროიკის" პერიოდამდე.

დღეს თბილისში ლუთერელებს ახალი კათედრალი აქვთ, რომლის ათი წლისთავი 2007 წელს იზეიმეს. ეკლესიის აშენებას, ზოგადად, თემის შეკვრასა და აღორძინებას ხელი შეუწყო საქართველოში თეოლოგიის პროფესორის, ლუთერელების ეპისკოპოსის, გერტ ჰუმელის ჩამოსვლამ.

▪ რწმენა

ლუთერული ეკლესიის უმთავრესი დოქტრინა არის გამართლების დოქტრინა. მათ სწამთ, რომ ადამიანის დახსნა ცოდვებისაგან არის მხოლოდ ღვთიური მადლი (*Sola Gratia*), მხოლოდ რწმენის მეშვეობით (*Sola Fide*) და ეს მადლი მოგვიტანა მხოლოდ იესომ (*Solus Christus*). ღმერთმა სამყარო შექმნა სრულყოფილი და უცოდველი. თუმცა ადამი და ევა საკუთარი ნებით არ დაემორჩილნენ ღმერთს. ამდენად, კაცობრიობა ატარებს პირველი ცოდვის ბორკილებს. მაგრამ ადამიანს არ ძალუძს, საკუთარი ღვთისმოსაობით და სიკეთის კეთებით გამოისყიდოს ცოდვები. უფალს უყვარს კაცობრიობა და გამოიხსნა იგი საკუთარი სისხლით. ღვთიური გამოსყიდვა არის მადლი, საჩუქარი.

იეზიდიზმი

იეზიდიზმის მიმდევრები იეზიდებად იწოდებიან და წარმოადგენენ სუბეთნოსს დიდ ქურთულეთნიკურ ჯგუფში. ქურთი-იეზიდები არიან ზემო მესოპოტამიის უძველესი მკვიდრნი და ნაწილი იმ მრავალმილიონიანი ქურთი მოსახლეობისა, რომლის უმეტესობა მუსულმანია.

▪ ისტორია მსოფლიოში

ქურთისტანი

ქურთისტანის ტერიტორიაზე ადრეული შუა საუკუნეებიდან მოყოლებული, XIX საუკუნის ჩათვლით, დამოუკიდებელი (ძირითადად, ნახევრად დამოუკიდებელი) ქურთული სამთავროები არსებობდა, რომლებიც დიდ გავლენას ახდენდნენ ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე ისტორიულ პროცესებზე. ისტორიული ქურთისტანი მოიცავდა შემდეგ ტერიტორიებს:

სამხრეთ ქურთისტანი — ერაყის ჩრდილოეთი.
სამხრეთ-დასავლეთ ქურთისტანი — სირიის ტერიტორია.
ჩრდილოეთ ქურთისტანი — თურქეთის ტერიტორია.

იეზიდიზმი

იეზიდიზმის წარმომავლობისა და ჩამოყალიბების შესახებ ჯერ კიდევ არ არსებობს ერთიანი აზრი მეცნიერებს შორის. ერთმნიშვნელოვანია ის, რომ ეს არის ერთ-ერთი ძველი აღმოსავლური რელიგია, რომლის ფესვები შუამდინარეთის უძველეს რელიგიურ კულტებს უკავშირდება და ძველი არიული და მესოპოტამიური წარმოდგენების ბაზაზე შეიქმნა.

იეზიდების წინაპრები მზეს, მთვარესა და ვარსკვლავებს აღმერთებდნენ. აგრეთვე თაყვანს სცემდნენ ბუნების ოთხ სტიქიას — წყალს, ცეცხლს, ჰაერსა და მიწას.
თავისი ფორმირების რამდენიმე ეტაპის გავლის შემდეგ იეზიდიზმი ჩამოყალიბდა, როგორც მონოთეისტური რელიგია.

ეზიდები მიიჩნევენ, რომ არსებობს ერთიანი ღმერთი **ხუდე** ან **იაზდანი** (იეზიდი), რომელმაც შექმნა სამყარო და მის გარეშე ქვეყნად არაფერი ხდება.

ღმერთი არის ყველგან და ყველაფერში, ის არის სიყვარული და სინათლე, რომელიც სხვადასხვანაირად ევლინება ადამიანებს. მაგალითად, მზის სითბოსა და სხივებში იეზიდები ღვთის სინათლეს ხედავენ და ამიტომ ლოცვისას მზის მიმართულებით იყურებიან.

იეზიდები ანგელოზებსაც ეთაყვანებიან და მიიჩნევენ, რომ ისინი მათ ღვთის ნებას ამცნობენ. ანგელოზებს სათავეში მალაქ ტავუსი უდგას, რომელიც ღმერთის ნებით მართავს სამყაროს. ანგელოზთა სიმბოლოდ იეზიდიზმში ფარშევანგი ითვლება, რომლის სპილენძის გამოსახულება იეზიდთა რელიგიური სიმბოლოა.

▪ ისტორია საქართველოში

ქურთი-იეზიდების რამდენიმე ტომი საქართველოში პირველად XVIII საუკუნეში გამოჩნდა. იეზიდების ძირითადი მასა საქართველოში ჩასახლებას იწყებს 1918 წლიდან, როდესაც ქურთ-იეზიდებს განსხვავებული რელიგიის გამო ავიწროვებდნენ ოსმალურ იმპერიაში. ისინი ძირითადად თბილისის ძველ უბნებში დასახლდნენ: სოლოლაკში, ვერაზე, ზემელზე, დიდუბეში, მეიდანზე, ვორონცოვზე და ა.შ.

თბილისის გარდა იეზიდების რამდენიმე კომლი დასახლდა კახეთში (თელავში, წნორში, ყვარელში), თიანეთში (ერწოში, სიონში), ოზურგეთში (ნასაკირალში, გურიანთაში) და ბათუმში.

რაოდენობა

სხვადასხვა წყაროს თანახმად, იეზიდების რიცხვი მილიონს აღწევს. მათი ძირითადი ნაწილი ისტორიულ სამშობლოში — სამხრეთ ქურთისტანში (მდებარეობს ერაყის ჩრდილოეთში), დოჰუკის მიდამოებში, შეიხანის ოლქსა და მანგალის მთიან რაიონებში ცხოვრობს. სამხრეთ-დასავლეთ ქურთისტანში (სირიაში) იეზიდები კომპაქტურად ყამიშლისა და ჰასაქას მიდამოებში ცხოვრობენ, მათი სოფლები აფრინის (ალეპო) ოლქშიც არის მიმოფანტული. დიარბაქრის 1959 წლის მოსახლეობის აღწერის შედეგების მიხედვით საქართველოში ცხოვრობდა 162 000 ქურთი, რაც მოსახლეობის 0,4%-ს შეადგენდა.
2002 წლის მოსახლეობის აღწერის მიხედვით, საქართველოში 20 843 ქურთი ცხოვრობს (მათ შორის, თბილისში — 192 000), რაც მოსახლეობის 0,4%-ს შეადგენს.

ამჟამად მსოფლიოში მცხოვრები ქურთების მხოლოდ მცირე ნაწილი მისდევს იეზიდიზმს. მათი რაოდენობა მთელ მსოფლიოში ერთ მილიონს აღწევს. ისინი ძირითადად ცხოვრობენ ერაყში, სირიაში, თურქეთში, საქართველოსა და სომხეთში. ბოლო წლების საემიგრაციო პროცესების შედეგად ქურთი-იეზიდები დასახლდნენ რუსეთში, უკრაინასა და დასავლეთ ევროპაში.

▪ რწმენა

იეზიდური საზოგადოების სტრუქტურა

იეზიდები რელიგიურ საზოგადოებას წარმოადგენენ, რომელიც თეოკრატიულ-კასტური პრინციპით არის ორგანიზებული. ისინი სამ შტოდ (,,კასტად'') იყოფიან: შეიხები, ფირები და მურიდები, რომლებიც რელიგიის წინაშე თანასწორნი არიან.



შეიხები და ფირები სასულიერო ფენას წარმოადგენენ, ხოლო მურიდების ძირითადი მასა ერისკაცებს მიეკუთვნება. ერთი კასტიდან მეორეში გადასვლა შეუძლებელია.

იეზიდური რელიგიის თანახმად, ყოველი იეზიდი თავისი შეიხისა და ფირის მურიდია, ანუ მათი მიმდევარი. თავის მხრივ, შეიხებიც და ფირებიც თავიანთი შეიხის ან ფირის მურიდები არიან.

რელიგიის თანახმად, ამ სამი შტოს წარმომადგენლებს შორის ქორწინება აკრძალულია, ვინაიდან მათ მხოლოდ სულიერი კავშირი უნდა ჰქონდეთ.

შეიხები სამ შტოს ქმნიან: ადანი, ყათანი და შამსანი, რომლებიც გვარებად იყოფა. ქორწინება ამ სამი შტოს წარმომადგენელთა შორისაც იკრძალება.



ფირებიც, თავის მხრივ, გვარებად იყოფიან: ფირ ჰასნმამანი, ფირ მაჰმარაშანი, ფირ ისებია, ფირ ბარი, ფირ მამშვანი, ფირ ომარხალი, ფირ ხანი და ა.შ. ფირების ზოგიერთ გვარს შორის ქორწინება არ არის ნებადართული.

იეზიდთა ძირითადი ნაწილი მურიდია და ისინიც მრავალ ტომად და გვარად იყოფიან. მურიდებს მიეკუთვნება ყავალები, ასევე, ფაყირებისა და ქოჩაკების მნიშვნელოვანი ნაწილი.

ყავალები იეზიდური რელიგიის მქადაგებლები არიან, რომლებსაც წელიწადში ერთხელ იეზიდური სოფლების შემოვლა და მოსახლეობისათვის წმინდა ტექსტების განმარტება ევალებათ.

ფაყირები ნახევრადასკეტურ ცხოვრებას ეწევიან და მისტიკოსებს მიეკუთვნებიან. ზოგიერთ ფაყირს შეუძლია იყოს შეიხიც და ფირიც.

ქოჩაკები მორწმუნე იეზიდები არიან და ითვლება, რომ ისინი იეზიდებს ანგელოზთა და წმინდანთა ნებას წმინდა ტექსტების საშუალებით აწვდიან.

სასულიერო კრება

იეზიდებს მართავს იეზიდთა სასულიერო კრება („დივანა დინ'' ან „ჯვათა რუჰანი''). სასულიერო კრების მოწვევის ადგილი შეიხანშია (ერაყის ქურთისტანი).

იეზიდთა სასულიერო კრება თავის გადაწყვეტილებას ყავალების მეშვეობით ავრცელებს იეზიდებს შორის. სასულიერო კრების ნებას ფარშევანგის სპილენძის გამოსახულება ადასტურებს, რომელსაც ყავალები წელიწადში ერთხელ იეზიდთა სოფლებში ჩამოატარებენ.

> თუ ნახე ვინმე
> და სიკეთე გააკეთე
> ნუ ჰკითხავ— რა რჯულის ხარ,
>
> თუ გააკეთე სიკეთე
> წყალს გააცანე იგი
> და არ დაიკარგემა ის ღმერთთან!
>
> (იზიდთა წმინდა ტექსტიდან)

იეზიდებს სათავეში მირი (ამირა) უდგას, მათი რელიგიური და საერო მეთაური. მას "ახტიარე მარგეჰე"-ს (მარგაჰს ხუცესი) უწოდებენ. მისი მეორე წოდებაა "ბავე შეხ", რაც "შეიხთა მამას'' ნიშნავს.

წმინდა ტექსტები



იეზიდთა რელიგია წმინდა რელიგიურ ტექსტებს — ყავლებს (სიტყვა) ეფუძნება, რომელთა ავტორიტეტი ურყევია მორწმუნე იეზიდისათვის. იეზიდთა მსოფლმხედველობა, კოსმოგონია, მცნებები, ზნეობრივი კოდექსი, ისტორია და სხვა ამ ტექსტების მეშვეობით არის წარმოდგენილი. ისინი, ძირითადად, ზეპირად გადმოეცემოდა მომდევნო თაობას მცოდნე-ოსტატებისგან. ამ ტექსტებს არაერთი ავტორი ჰყავს, რომლებიც იეზიდთა წმინდანები არიან.

იეზიდთა რელიგიური ტექსტები უძველეს ინფორმაციას გვაწვდის ქურთი ხალხისა და, ზოგადად, ძველი მესოპოტამიის მოსახლეობის რელიგიურ წარმოდგენებზე.

ყავლების გარდა არსებობდა ორი ცნობილი წიგნი — "მასჰაფა რაშ'' ("შავი წიგნი'') და "ქეთება ჯელვა'' ("გამოცხადების წიგნი"), რომელთა დედნები დაკარგულია. ჩვენამდე მხოლოდ მათმა ფრაგმენტებმა მოაღწია. იეზიდთა სასულიერო პირები არ ცნობენ ამ წიგნებს, ვინაიდან მიაჩნიათ, რომ ისინი არ შეიძლება იყოს სანდო. ცნობილია, რომ ეს წიგნები განსაკუთრებული იეზიდური დამწერლობით ქურთულ ენაზე იყო შექმნილი.

არსებობს აგრეთვე ტყავზე შესრულებული წიგნი "მშურ'', რომელიც არაბულ ენაზეა დაწერილი. მასში წმინდანთა ცხოვრება და ხალხთან მათი ურთიერთობაა აღწერილი. ეს ხელნაწერები იეზიდთა სასულიერო გვარების წარმომადგენლებს — ფირებს ეკუთვნის და დღემდე მათ ოჯახებში ინახება.



იეჰოვას მოწმეები

יהוה (ებრაული სიტყვა "**იაჰვე**" რაც ნიშნავს "ღმერთს", "არსებულს", "ჭეშმარიტს"). იეჰოვას მოწმეების სწავლებაში მნიშვნელოვანია უფლის ამ კონკრეტული სახელის სხვებისადმი დამოწმება, ესაა მათი უმთავრესი მოვალეობა. მათ სწამთ, რომ აღადგინეს პირველი საუკუნის ქრისტიანობა

▪ ისტორია მსოფლიოში

ეს მიმდინარეობა ამერიკაში, პენსილვანიის შტატში დაარსდა XIX საუკუნის 70-იან წლებში. თავდაპირველად ეს იყო "ბიბლიის მკვლევართა საზოგადოება". მისი დამაარსებელი იყო **ჩარლზ ტეიზ რასელი**. 1879 წელს მან დააარსა ჟურნალი "საგუშაგო კოშკი". მოგვიანებით გაერთიანებას ეწოდა "იეჰოვას მოწმეები".

▪ ისტორია საქართველოში

საქართველოში იეჰოვას მოწმეები ჩნდებიან 1953 წლიდან. ვალენტინა მიმინოშვილი, რომელიც ერთ-ერთი პირველი მოწმე იყო საქართველოში, ამ მიმდინარეობას ეზიარა საკონცენტრაციო ბანაკში. 1970 წელს ენგურჰესზე 12 კაცი მოუნათლავთ, რის საფუძველზეც მათ წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. მიუხედავად ამისა, 1976 წელს უკვე 45 კაცი მონათლულა. დღეს "საქართველოს იეჰოვას მოწმეთა კავშირი" 15000 მონათლულ წევრს ითვლის, ზოგადად თემი კი 40 000-მდეა.

2004 წელს იეჰოველთა ინიციატივით ახალი აღთქმის კიდევ ერთი თარგმანი შესრულდა. ამ თარგმანში "ღმერთი" თარგმნილია "იაჰვედ", ხოლო "ჯვარი" — "ძელად" ან "ბოძად" (იეღოვას მოწმეთა ტრადიციის თანახმად, იესო ეწამა არა ჯვარზე, არამედ საწამებელ ძელზე).

▪ რწმენა

"იეჰოვას მოწმეების" არსებითი ნიშანი კარდაკარ სიარული და ღმერთის შესახებ ხალხთან საუბარია. მათ რელიგიურ პრაქტიკაში უმთავრესი ადგილი უჭირავს ბიბლიისშესწავლას.აწყობენრეგიონულთუ რესპუბლიკურ კონგრეს-კონფერენციებს.

სწამთ იესო, როგორც პირველქმნილება ღმერთისა, მხოლოდშობილი ძე და მთავარანგელოზი. უფალმა მისი მეშვეობით შექმნა ყველაფერი. მხოლოდ იესოს მეშვეობით შეიძლება ღმერთთან ურთიერთობა. არ სჯერათ სამების დოგმატის, არ სჯერათ სულის უკვდავების, სამოთხისა და ჯოჯოხეთის. სწამთ, რომ დაარსდება იაჰვეს სამეფო დედამიწაზე და იქ 144000 რჩეული დამკვიდრდება. სული წმიდა პიროვნება კი არაა, არამედ კეთილი ძალა. სული არის თავად ადამიანი და არა ზემატერიალური მოვლენა. ამიტომაც იეჰოვას მოწმეებისათვის სისხლის გადასხმის საკითხი საკვანძო საკითხს წარმოადგენს, საამისოდ ისინი ეყრდნობიან ბიბლიის შემდეგ მუხლებს: საქმეთა 15:28,29; ლევიტელთა 17:11-12; დაბადების 9:3-4.

ისლამი



ისლამი(არაბულად إسلام). სიტყვა "ისლამი" არაბული ზმნიდანაა ნაწარმოები, რომელიც ნიშნავს დამორჩილებას, მიღებას და დანებებას, ანუ ღმერთისადმი სრულ დამორჩილებას (ღმერთი არაბულად إله,ალაჰ). ისლამის მიმდევარნი არიან **მუსულმანები**, რაც ნიშნავს "ღმერთის მორჩილს".

▪ ისტორია მსოფლიოში

მუჰამედი, გადმოცემის თანახმად, ყოფილა ვაჭარი. მუჰამედის მამის სახელი **აბდილ'ლაჰ იბნ აბდუ'ლ-მუთალიბი** (არაბულად عبد الله بن عبد المطلب) თავის თავში მოიცავდა უფლის სახელს "ალაჰს". ისლამის დაარსებამდე წარმართი არაბები ღმერთს სწორედ ასე უწოდებდნენ. მუჰამედი თავისი საქმიანობიდან გამომდინარე ბევრს მოგზაურობდა. იგი ხშირად სტუმრობდა მექას გარშემო მთებს ლოცვისა და მედიტაციისათვის. მუსულმანების რწმენით, 610 წელს, მაშინ, როცა მუჰამედი დაახლოებით 40 წლისა იყო, მთებში მისი მორიგი ლოცვითი გასვლისას **ჰირას** გამოქვაბულში მას სტუმრად ეწვია **გაბრიელ** ანგელოზი, რომელმაც უბრძანა მას, დაემახსოვრებინა და აღენუსხა უფლის გზავნილი. ეს ყველაფერი მოგვიანებით ყურანში შევიდა.

მუჰამედმა თავისი წინასწარმეტყველური მოღვაწეობა დაიწყო მონოთეიზმის ქადაგებით. იგი აფრთხილებდა ხალხს ღვთიური სამსჯავროს შესახებ, როდესაც ყველა ადამიანი გასამართლდება თავისი ნამოქმედარის მიხედვით. იუდაიზმსა და ქრისტიანობას, არაბთათვის უკვე ნაცნობ ორ მონოთეისტურ სარწმუნოებას, არ უარყოფდა, ამბობდა, რომ უფალმა იგი გამოგზავნა ამ სწავლებების ხარვეზების შესასწორებლად.
მექაში ბევრი წინ აღუდგა ახალ სწავლებას და დევნა დაუწყო მუჰამედსა და მის მიმდევრებს. ბოლოს, 622 წელს მუჰამედი იძულებული გახდა, გამგზავრებულიყო. მისი ეს მოგზაურობა მუსულმანებში ცნობილია **იჯრას** სახელით (მიგრაცია, გაქცევა) და დასახლდა იათრიბში (დღევანდელი **მედინა**), რომელსაც ძალიან მალე სახელი შუცვალეს და დაარქვეს **მედინათ უნ-ნაბი,** რაც "წინასწარმეტყველის ქალაქს" ნიშნავს. აქ იყო პირველი მუსულმანური თემი.

მექასა და მედინას შორის გამართულ ბრძოლაში მუჰამედმა და მისმა მიმდევრებმა გაიმარჯვეს. მათი გამარჯვების საიდუმლო ტომობრივი კოალიციის ჩამოყალიბებაში უნდა ვეძიოთ. მექას დაპყრობის შემდეგ კოალიცია კიდევ უფრო გაიზარდა. მუჰამედის გარდაცვალებამდე მან მოახერხა თითქმის მთელი არაბეთის ნახევარკუნძულის შემოერთება და სამხედრო ექსპედიციების გაგზავნა სირიასა და პალესტინაშიც.
მუჰამედის მიმდევრებმა ისლამური იმპერიის საზღვრებში მოაქციეს პალესტინა, სირია, მესოპოტამია, ირანი, ეგვიპტე, ჩრდილოეთ აფრიკა და იბერია. მოგვიანებით, სავაჭრო ურთიერთობების დამყარების შემდეგ, მუსულმანი მისიონერების მოღვაწეობის შედეგად ისლამი გავრცელდა მთელ აღმოსავლეთ ნახევარსფეროში — ჩინეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში.

▪ ისტორია საქართველოში



თბილისში მაჰმადიანთა 400-წლიანმა ბატონობამ (VII-XI სს.) ქალაქის გარეგნულ სახეზეც მოახდინა გავლენა, რის გამოც იგი ატარებდა როგორც ქრისტიანულ, ისე მუსულმანურ იერს. XIII საუკუნეში არაბი გეოგრაფი ზაქარია ალ-ყაზვინი თბილისზე წერდა, რომ "ალ-ქურის ერთ-ერთ ნაპირზე ლოცვისაკენ მოუწოდებდნენ, მეორეზე კი ზარებს რეკენ".

ისტორიული წყაროები გვამცნობენ, რომ დავით აღმაშენებლის მიერ თბილისის აღების შემდეგ მუსულმანებს თბილისი არ დაუტოვებიათ. თბილისელი მუსულმანები თავიდან სუნიტები იყვნენ. შიიტები აქ მოგვიანებით გამოჩნდნენ.

მუსულმანური დღესასწაულების დროს მეფე დავითი და უფლისწული დემეტრე მიდიოდნენ მეჩეთში, ულოცავდნენ დღესასწაულს და ასაჩუქრებდნენ იქაურ მორწმუნეებს.

1522 წელს ირანის შაჰმა ისმაილმა თბილისში შიიტების ცისფერი მეჩეთი ავლაბრის ხიდის თავში ააგო. როცა თბილისი მონაცვლეობით ხან სუნიტი თურქ-ოსმალების ხელში იყო, ხან კი შიიტი ირანელებისა, ქალაქის მაჰმადიანი დამპყრობლები არა მარტო ქრისტიანულ ეკლესია-მონასტრებს წვავდნენ, არამედ თავიანთ სალოცავებსაც – შიიტები სუნიტებისას და პირიქით. შიიტების მეჩეთი ძველ თბილისში ერთ-ერთი ულამაზესი ნაგებობა ყოფილა. მისი ორნამენტიანი და წარწერებიანი ფილები დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში. ამ მეჩეთმა 1951 წლამდე იარსება, იგი დაანგრიეს ქალაქის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით. მეჩეთის ნანგრევებში აღმოაჩინეს ვერცხლის მონეტების განძი. ჩვენამდე მოაღწია 434 მონეტამ. მონეტები ალი იბნ ჯაფარის, თბილისის ამირას, მმართველობის ხანის ერთადერთი ნივთიერი ძეგლია.

XIX საუკუნისათვის თბილისში 5 მეჩეთი ყოფილა, აქედან 3 როსტომ მეფეს აუშენებია XVII საუკუნეში.

შიიტების მეჩეთის დანგრევის შემდეგ თბილისელი შიიტები და სუნიტები ერთ მეჩეთში აღავლენენ ლოცვას. აღსანიშნავია, რომ ეს მაჰმადიანური რელიგიის ისტორიაში პირველი შემთხვევაა. დღეს საქართველოში 35 მეჩეთია, რომელთაგან მხოლოდ 15 ფუნქციონირებს

▪ წმიდა წერილები

ისლამის წმინდა წიგნს და პირველწყაროს წარმოადგენს **ყურანი**. ხილული ყურანი, მუჰამედის თქმით, მხოლოდ ასლია ზეციური ყურანისა, რომელიც დედამიწაზე მთავარანგელოზმა გაბრიელმა (ჯიბრაილმა) ჩამოიტანა. ყურანი, ანუ **ალ ქითაბ** (წიგნი ჭეშმარიტი) ჩაწერილი იქნა მუჰამედის მსახურთა მეშვეობით.

ყურანი დაწერილია გარითმული პროზით. შედგება 114 თავისაგან, რომელთაც არაბულად **სურები** ეწოდება. სურები, თავის მხრივ, იყოფა მუხლებად, ანუ **აიებად**. ყურანში სულ 6211 აიაა.



ყურანი მოკლებულია სიუჟეტს. მასში ჭარბობს ალეგორიები, საღვთისმეტყველო და ზნეობრივი შინაარსის მოწოდებები.

მუსულმანების წმინდა წიგნებიდან ყურანის გარდა აღსანიშნავია **სუნა** და **შარიათი.**

სუნა არის "სულის მარგებელი კრებული", რომელიც VIII-IX საუკუნეებში შეიქმნა. მასში ასახულია მუჰამედისა და სხვა პირველ მუსულმანთა ცხოვრება. სუნაში განმარტებულია ყურანის მეტ-ნაკლებად ბუნდოვანი ადგილები. ამგვარად, სუნა არის მორწმუნე სუნიტების ცხოვრების ერთგვარი კონსტიტუცია.

შარიათი წარმოადგენს ისლამის კანონს და ღვთიური ნების გაცხადებას. აქ არის პასუხისმგებლობათა და ვალდებულებათა მთელი სისტემა.

შარიათი განიხილავს მორწმუნე მუსულმანის ცხოვრების ყველა ასპექტს. ყურანი განიხილავს ყველაზე მნიშვნელოვან ცოდვებს და მათზე სასჯელს:

- უკანონო ურთიერთობები (მრუშობა)
- ცილისწამება
- ალკოჰოლის გამოყენება
- ქურდობა და ძარცვა

• რწმენა და ტრადიციები

ყურანის თანახმად ყველა მუსლიმს უნდა სწამდეს:
ყურანის თანახმად, ყველა მუსულმანს უნდა სწამდეს:

1. **ერთი ღმერთი**

არ არსებობს ღმერთი გარდა ალაჰისა და მუჰამედია მისი მოციქული

2. **ანგელოზები**

ანგელოზთა დასიდან ოთხია მთავარანგელოზი: **ჯიბრაელი,** რომელიც ღმერთის სიტყვას შუამავლებს გადასცემს; **მიქაელი,** რომელიც ბუნებრივ მოვლენებს განაგებს; **ისრაფილი,** რომელიც სულს შთაბერავს სურაში, მოახდენს წარღვნას და ყველა სულიერი აღდგება; **აზრაილი,** რომლის მოვალეობაცაა, სულები მიიბაროს, ამიტომაც მას "სიკვდილის ანგელოზს" ეძახიან.

3. **შუამავლები**

ადამ, იდრის, ნოე, ჰუდ, საალიჰ, აბრაამ, ლუთ, ისმაელ, ისჰაკ, იაკობ, იოსებ, ეიუბ, შუაიბ, მოსე, ჰაარუნ, დავით, ელიესა, სოლომონ, ზულქიფლი, იუნუს, ილიას, ელიესა, ზექერია, იესო, მუჰამედ.

4. **წმიდა წერილი**

თორა, შუამავალ მოსეს წიგნი; **ზებური,** შუამავალ დავითის წიგნი; **ბიბლია,** შუამავალ იესოს წიგნი; **ყურანი,** შუამავალ მუჰამედის წიგნი.

5. **განკითხვის დღე**

მართლმორწმუნე მუსულმანს უნდა სწამდეს: **წარღვნის, მკვდრეთით აღდგომის, ღვთიური სამსჯავროსი, სამოთხისა და ჯოჯოხეთის.**

6. **ბედისწერა**

ყოველი სიკეთე უზენაესი ღმერთისაგანაა. "მისი ბრძანების გარეშე ხიდან ფოთოლიც არ ჩამოვარდება".
ყოველი ცუდიც უზენაესი ღმერთისგანაა, "მისი ბრძანების გარეშე არავინ მიიღებს ტანჯვას..."

არსებობს საკითხები, რომლებიც განსხვავდება ისლამურ დენომინაციებს შორის. მაგალითად, სუნიტური კონცეფცია ბედისწერის შესახებ მოიხსენიება, როგორც "ღვთიური განჩინება", მაშინ, როცა შიიტები ამას მოიხსენიებენ, როგორც "ღვთიურ სამართალს". განსხვავებულია დოქტრინები იმამთა შესახებ.
ისლამის მიხედვით, ღმერთმა მუჰამედს გადასცა თავისი უკანასკნელი უწყება ჯიბრაელ ანგელოზის მეშვეობით. აქედან გამომდინარე, მუჰამედი წარმოადგენს უკანასკნელ წინასწარმეტყველს. ისლამის სწავლების მიხედვით, წინასწარმეტყველები ადამიანები არიან და არა ღვთიური არსებები.

ისლამის ხუთი სვეტი (არაბულად أركان الدين) წარმოადგენს სუნიტი მუსულმანების ფუნდამენტურ დოგმატს. შიიტი მუსულმანების სულიერი დისციპლინა ემყარება რვა რიტუალს, რომელშიც შედის ეს **ხუთი სვეტი**.

- **შაჰადა** ისლამის უმთავრეს მრწამსს, დოგმატს წარმოადგენს: *"აშადუ ალ-ლა ილაჰა ილლა-ლლაჰუ უა აშადუ ანნა მუჰამადან რასულუ-ლაჰ"*. რაც ნიშნავს "მე ვადასტურებ, რომ არავინაა თაყვანისცემის ღირსი, გარდა ალაჰისა და ვადასტურებ, რომ მუჰამედი არის მისი მოციქული". ეს დოგმატი წარმოადგენს ყველა დანარჩენი დოგმატის საფუძველს. ყველა მუსულმანმა თავის ლოცვებში უნდა იმეოროს შაჰადა.
- **სალლათი,** რიტუალური ლოცვაა, რომელიც დღეში ხუთგზის უნდა წარმოთქვას მორწმუნემ. თითოეული სალლათი ისე უნდა წარმოითქვას,

რომ მლოცველს პირი მექასკენ ჰქონდეს. ბევრ ისლამურ ქვეყანაში ლოცვის დაწყებას მეჩეთიდან ხმამაღლა აუწყებენ მორწმუნეებს.

- **ზაქათი** მოწყალების გაცემას ნიშნავს. ყველა მორწმუნე ვალდებულია, მოწყალება გაიღოს, რაც უნდა შეადგენდეს მისი შემოსავლის მეორმოცედს.
- **შაუმი — ესაა მარხვა** რამადანის თვეში. მთელი თვის განმავლობაში მუსულმანმა არც უნდა დალიოს და არც უნდა შეჭამოს რამე მზის ამოსვლიდან მზის ჩასვლამდე. ასევე, სიფრთხილე უნდა გამოიჩინონ, რათა არ შესცოდონ, უნდა ქველმოქმედებდნენ და ინანიებდნენ ცოდვებს.
- **ჰაჯი ეწოდება** პილიგრიმობას მექაში. თითოეული მუსულმანი, ვისაც ამის შესაძლებლობას აძლევს ჯანმრთელობა და ფინანსური მდგომარეობა, ვალდებულია, სიცოცხლეში ერთხელ მაინც მოილოცოს მექა. როცა მომლოცველი მექადან 10 კილომეტრის მანძილზე მიუახლოვდება, უნდა შეიმოსოს სპეციალური სამოსლით (იჰრამით). ეს სამოსელი შესდგება ორი თეთრი ნაჭრისაგან, რომელსაც ნაკერი არა აქვს. მომლოცველმა შვიდგზის უნდა შემოუაროს ქააბას გარშემო და ხელით შეეხოს შავ ქვას.

დენომინაციები

მუჰამედის გარდაცვალების შემდეგ მის მიმდევრებს შორის გაჩნდა ორი განსხვავებული მოსაზრება მისი კანონიერი მემკვიდრეობის შესახებ. ერთი ნაწილი ახალი ხალიფას პიროვნულ ღირსებებზე აკეთებდა აქცენტს, მეორე ნაწილი — შთამომავლობაზე. გაიმარჯვა პირველმა მოსაზრებამ და მუჰამედის მესაყდრედ ჯერ **აბუ ბაქრი** გამოაცხადა, შემდეგ **ომარი** და მერე **ოსმანი.** როდესაც მეოთხე ხალიფას არჩევის დრო დადგა, გააქტიურდა მემკვიდრეობის პრინციპის მომხრე პარტია და ხალიფას პოსტი დაიკავა მუჰამედის სიძემ **ალი იბნ აბი თალიბმა**. ამის საპასუხოდ 661 წელს ატყდა ომი, რომელსაც შეეწირა კიდეც ალი. იმ დღიდან მუსულმანთა სამყარო ორად გაიყო: **სუნიტებად** (ალის მოწინააღმდეგეები, **ალ-სუნაჰ** ნიშნავს კვალს, პრინციპებს, ტრადიციას) და **შიიტებად** (ალის მომხრეები, **შია** ნიშნავს პარტიას). შიიტები დღესაც უმრავლესობას წარმოადგენენ.
მთლად დენომინაცია შეიძლება არ ეწოდოს ისლამის კიდევ ერთ განშტოებას — **სუფიზმს**. ეს გახლავთ ისლამის მისტიკურ-ასკეტური ფორმა. უფრო ზუსტად, ესაა ისლამის რელიგიურ-ფილოსოფიური გაგება. რელიგიის სულიერი ასპექტების წინ წამოწევით სუფიზმი ცდილობს, ღმერთის განცდა "ინტუიციურ და ემოციურ" დონეზე შემოიტანოს. თუმცა ხშირად მუსულმანები სუფიზმს გაუმართლებელ რელიგიურ ინოვაციად მიიჩნევენ.

- **კვება**

საინტერესოა ისლამის ადაბ (ქცევა) და კვების კანონები, ანუ ისლამური ეტიკეტი: მისალმება *"ას-სალამუ ალაიქუმ"* (მშვიდობა თქვენდა), ჭამის წინ *ბისმილაჰის* (უფლის სახელით) თქმა, ტრადიცია, რომ ჭამისა და სმის დროს მხოლოდ მარჯვენა ხელი უნდა გამოიყენო. ჰიგიენის საკითხები პირადი სიწმინდისა და ჯანმრთელობის კატეგორიაში ჯდება. აქვეა საუბარი წინადაცვეთის ტრადიციის შესახებაც.

კვების პროდუქტებიდან აკრძალულია ღორის ხორცის მიღება, სისხლისგან დაუცლელი ხორცის საკვებად გამოყენება, აგრეთვე მძორი. მუსულმანების კვების რაციონი ჰგავს ებრაელთა რაციონს და მას მკაცრად იცავენ. კვების პროდუქტებს, რომელიც დაშვებულია მუსულმანებისათვის, ჰქვია ჰალალსაჭმელი.

- **ჯიჰადი**

ჯიჰადი ნიშნავს "ძალისხმევას, ბრძოლას". ჯიჰადი განიხილება რწმენის ხუთ ბურჯთან მეექვსედ. ჯიჰადი არის მტრის წინააღმდეგ ბრძოლა, ისლამის დაცვა.

- **დღესასწაულები**

ისლამს აქვს დღესასწაულების მდიდარი ციკლი. დღესასწაულის აღმნიშვნელი არაბული სიტყვა "*ყიდუნ*" ნიშნავს "დაბრუნებას".

- ურაზა-ბაირამი — გაზაფხულის მარხვის გახსნილების დღესასწაული
- ყურბან-ბაირამი – მსხვერპლშეწირვის დღე უზარა ბაირამიდან 70 დღის შემდეგ
- მავლიდი — მუჰამედის დაბადების დღე
- მიჰრაჯი — მუჰამედის ზეცად ამაღლების დღე
- შაჰსეი-ვაჰსეი, ანუ აშურა — მუჰამედის შვილიშვილის მოხსენიების დღე, ესაა რელიგიურ-სამგლოვიარო ცერემონიალი, რომელსაც ახლავს თვითგვემა.
- ყოველი კვირის პარასკევი მართლმორწმუნე მუსულმანისათვის დღესასწაულია.



იუდაიზმი

იუდაიზმი (ებრაულად יהדות) ებრაელთა რელიგიაა. ის ერთ-ერთი უძველესია დღემდე შემორჩენილ რელიგიებს შორის. მისმა სწავლებამ გავლენა იქონია ქრისტიანობაზე, ისლამსა და ბაჰაის სარწმუნოებაზე.

განსხვავებით სხვა რელიგიებისაგან, იუდაიზმში უზენაესი ავტორიტეტი არაა დაკავშირებული ერთ რომელიმე ადამიანთან ან ადამიანთა ჯგუფთან, არამედ წმიდა წერილთან, ტრადიციებთან, რომელთაც განსწავლული რაბინები განმარტავენ. იუდაიზმის საფუძველია რამდენიმე რელიგიური პრინციპი, რომელთაგან უმნიშვნელოვანესია ერთი — ღმერთის რწმენა, რომელიცაა ყოვლისშემძლე, ყველგანმყოფი და ტრანსცენდენტული, სამყაროს შემოქმედი, მისი მმართველი და გამგებელი; ღმერთი, რომელმაც ისრაელიანებს დაუდო **აღთქმა** და მისცა **რჯული მოსეს** მეშვეობით **სინაის მთაზე**. დღევანდელი ებრაელები კი იმ ისრაელიანების მემკვიდრენი არიან.

▪ ისტორია მსოფლიოში

ებრაული ტრადიციის მიხედვით, იუდაიზმი იწყება აბრაამის მიერ ღმერთის მიმართ დადებული აღთქმით (ძვ. წ. 2000, ბრინჯაოს ხანა). იუდაიზმის ისტორია ებრაელთა ისტორიაა. ადრეულ ისტორიას თავად ძველი აღთქმა მოგვითხრობს (მოსეს ხუთწიგნეული). აქ აღწერილია, როგორ ამოირჩია უფალმა ისრაელიანები სხვა ხალხებისაგან, როგორ იცავდა გაჭირვებაში და როგორ მისცა მათ **რჯული** და **ათი მცნება** მოსეს მეშვეობით.

ისრაელიანები ძლიერ ერად ჩამოყალიბდნენ, მაგრამ ძვ. წ. 920 წელს სახელმწიფო დაინგრა და ისინი დაიქსაქსნენ. ძვ. წ. 600 წ. სოლომონის ტაძარი დაინგრა და ისრაელიანები გადასახლდნენ ბაბილონში. 533 წელს მათ დაბრუნების ნება მისცეს, მაგრამ ბევრი მათგანი არ დაბრუნდა და ჩამოაყალიბეს **დიასპორები.** დაბრუნებულებმა აღადგინეს სოლომონის ტაძარი და დააწესეს დღესასწაული **ხანუკა** (სატფურობა) და ჩამოაყალიბეს ახალი თემი **იუდეველებისა** (იუდას, პარტიარქ იაკობის შვილის შთამომავლები). ამ თემში არ შეიყვანეს ისინი, ვინც ტყვეობაში არ იყო ნამყოფი და პალესტინაში დარჩა. მათ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით **სამარიტელები** ეწოდათ.

ძვ. წ. 63 იუდეველები რომაელი დამპყრობლების მმართველობის ქვეშ აღმოჩნდნენ. სწორედ ამ პერიოდში დაიბადა მოძღვარი იესო, რომელმაც საფუძველი ჩაუყრა ახალ რელიგიას, ქრისტიანობას. ახ. წ. 70-200 წლებში პალესტინისათვის სერიოზული პოლიტიკური და რელიგიური ცვლილებების პერიოდია. იუდეველებმა რომაელთა წინააღმდეგ ორი აჯანყება მოაწყვეს, მაგრამ ორივე სასტიკად იქნა ჩახშობილი. 70 წელს სოლომონის ტაძარი მეორედ დაინგრა. ეს ჭრილობა დღესაც მტკივნეულია იუდეველთათვის.

▪ ისტორია საქართველოში

საქართველოში მცხოვრები ებრაელები თავს იმ ებრაელთა შთამომავლებად თვლიან, რომლებიც ერეც-ისრაელიდან იქნენ განდევნილები ნაბუქოდონოსორ მეფის მიერ სოლომონის ტაძრის პირველი დანგრევის შემდეგ. აქედან ითვლიან სწორედ ებრაელთა თემის 26-საუკუნოვან ისტორიას საქართველოში. მათვე უკავშირდება გაქრისტიანების ისტორიაც, რადგან წმინდა ნინო პირველად სწორედ მათთან მივიდა იბერიაში შემოსვლის შემდეგ. 1897 წლის აღწერის მიხედვით, საქართველოში 18500 ებრაელი ცხოვრობდა, 1926 წლისათვის — 30000-ზე მეტი, 1977 წლის აღწერით 55000 ებრაელია დაფიქსირებული. ამას მოჰყვა ებრაელთა ისრაელში გადასახლების ორი ტალღა. დღეს დაახლოებით 5000 ებრაელი ცხოვრობს საქართველოში,.. ძირითადად თბილისში, 600-მდე მოსახლე — ქუთაისში.

▪ რწმენა და ტრადიციები

იუდაიზმი მონოთეისტური რელიგიაა და აღიარებს ერთადერთ ღმერთს, სამყაროს შემოქმედს. იუდაისტური მოძღვრების ძირითადი დოგმატები XII საუკუნეში ჩამოყალიბდა შემდეგ პუნქტებად:

1. არსებობს ღმერთი, რომელმაც შექმნა სამყარო და განაგებს მას.
2. არის მხოლოდ ერთი ღმერთი, შემოქმედი და განმგებელი სამყაროსი. ის იყო, არის და იქნება.
3. არ არსებობს ფიზიკური განსხეულება ამ სამყაროში ამ სრულყოფილი ღმერთისა.
4. ის არის პირველი და უკანასკნელი (ანი და ჰოე).
5. მხოლოდ ამ ღმერთზე უნდა ვილოცოთ და არავიზე მის გარდა.
6. ჭეშმარიტია ღვთიური გამოცხადებანი.
7. ჭეშმარიტია რჯული მოსესი, რომელიც არის უდიდესი ყოველთა წინასწარმეტყველთა.
8. თორა არის მოსესთვის ჭეშმარიტად უფლის მიერ ნაკარნახევი წიგნი.
9. მოსეს რჯული უცვლელია მარადის და არ იქნება არასოდეს სხვა რჯული.
10. შემოქმედმა ღმერთმა იცის ყველაფერი, იცის ადამიანთა საქმენი, ფიქრები და ნათქვამი.
11. ღვთის აღთქმების დამცველთ დაუფასდებათ ერთგულება და აღთქმათა დამრღვევნი დაისჯებიან.

12. მესია მოვა ისრაელში.

13. ჭეშმარიტებაა მკვდრეთით აღდგომა.

იუდეველთა ღვთისმსახურების ბირთვს წარმოადგენს დილის, შუადღის და საღამოს ლოცვები. მლოცველები ტალითით (სპეციალური მოსასხამი) იმოსებიან. მორწმუნეები თავს სინაგოგებში იყრიან. იმისათვის, რომ სინაგოგაში ლოცვა შესრულდეს, მას ათი მორწმუნე მაინც უნდა ესწრებოდეს. მოძღვარს რაბინი ჰქვია და ის ხელმძღვანელობს როგორც რიტუალებს, ისე განათლების პროცესს.

ებრაელთათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კვებას. ისინი მხოლოდ წყვილჩლიქოსან პირუტყვს მიირთმევენ. ათი მცნების მიხედვით, მკაცრად იცავენ შაბათის უქმეს.

რელიგიური ტექსტები

ებრაული ბიბლია არის **თანახ**(ი). ეს სახელი წარმოადგენს იმ წიგნების აბრევიატურას, რომელთაგანაც შედგება თანახი.

მიშნა ზეპირი ტრადიციაა, რომელსაც დაუწერელ თორად მოიხსენიებენ და რომელიც უხსოვარი დროიდან გადაეცემოდა თაობიდან თაობას თორასთან ერთად ზეპირსიტყვიერების საშუალებით.

დღესასწაულები

პასექი და უფუარობა


ონის სინაგოგა

იუდეველთა ყველაზე მნიშვნელოვანი ყოველწლიური დღესასწაული პასექია. მას ზეიმობენ ნისანის (მარტი/აპრილის დასაწყისი). 14-ში. ეს დღესასწაული ეგვიპტიდან გამოსვლის აღსანიშნავად დადგინდა, ამიტომაც ოჯახი მსხვერპლად სწირავს ბატკანს. პასექი ნიშნავს "გვერდის ავლას", რადგან ანგელოზმა მაშინ გვერდი აუარა ისრაელიანთა ოჯახებს, დასაჯა ეგვიპტელნი და დაუხოცა პირმშოები. საპასექოდ და მომდევნო კვირაშიც ებრაელები მიირთმევენ უფუარ, სახელდახელოდ გამომცხვარ პურს — ხმიადს. გარდა ამისა, ეს პური გახსენებაა იმ პირველი პურისა, რომელიც ისრაელიანებმა გამოაცხვეს ქანაანში შესვლიდან მეოთხე დღეს.

პირველნაყოფთა დღესასწაული

ეს დღესასწაული ტარდება უფუარობის ბოლო დღეს. ღმერთს შესწირავენ ჭვავის პირველ ძნას.

შვიდეულის დღესასწაული

პასექიდან ორმოცდამეათე დღეს, პურის მკის დასასრულს, სამსხვერპლო ცხოველების გარდა მღვდელი ღმერთს სწირავდა ორ დიდ პურის კვერს. ეს არის დღესასწაული, როდესაც ხალხი უფალს მადლობას უხდის უხვი წყალობისათვის.

ბუკისცემის დღესასწაული

ბუკის ცემით აღინიშნებოდა წელიწადის მეშვიდე თვის დადგომა. ბაბილონის ტყვეობის შემდეგ ბუკის ცემის დღესასწაულს განიხილავდნენ, როგორც ახალი წლის რელიგიურ დღესასწაულს (**როშ ჰაშანა**), ოღონდ, თვეების ათვლა ძველებურად ნისანიდან იწყება

შენდობის დღე

შენდობის დღეს (**იომ ქიფურ**) მთელი ისრაელიანი ხალხი ცოდვებს ინანიებს და ღმერთს პატიებას სთხოვს. მღვდელი მსხვერპლს სწირავს ღმერთს და ინანიებს როგორც საკუთარ, ისე ხალხის ცოდვებს. ეს იყო ერთადერთი დღე, როდესაც მღვდელმთავარი "წმინდათაწმინდაში" შედიოდა. მსხვერპლშეწირვის შემდეგ მღვდელმთავარს გამოჰყავდა თხა "**განტევების ვაცი**" , რომელსაც ჯერ ხელს დაასხამდა და მერე უდაბნოში გაუშვებდა იმის ნიშნად, რომ ხალხის ცოდვები განტევებულია.

კარვობის დღესასწაული

ეს იყო ყველაზე მხიარული და ხალხისათვის საყვარელი დღესასწაული. სინას უდაბნოში ხეტიალისა და იმ დროს კარვებში ცხოვრების აღსანიშნავად კარვობაზე ისრაელიანები ბანებზე და აივნებზე მართავენ ტოტებისაგან გაკეთებულ კარვებს. ამ დღესასწაულზე სრულდება წყლის დაქცევის წესიც, რომლითაც უფალს შემდგომი სეზონისათვის უხვ წვიმებს სთხოვენ.

სატფურობა (ლამპრობა)

ჩვ.წ. 165 წელს იუდა მაკაბელმა განწმინდა იუდეველთა ტაძარი და ამის შემდეგ დაწესდა ტაძრის განწმედისა და სატფურობის სამახსოვრო დღესასწაული. საღამოობით სახლებსა და ტაძრებში ჩირაღდნებს ანთებენ. დღეს ეს დღესასწაული **ხანუქად** იწოდება.

ფურიმი

ეს მხიარული დღესასწაული ესთერისა და მორდოქაის მიერ ისრაელიანთა გადარჩენას ეძღვნება სპარსეთის მეფის, ქსერქსეს (ბიბლიური ახაშვეროშის) დროს. ფურიმი ნიშნავს წილს. მაშინ მეფის პირველმა მინისტრმა ჰამანმა სწორედ წილი ყარა, რათა გადაეწყვიტა, რომელ დღეს გაწყვეტდა ებრაელებს.

შაბათი

ეს დღესასწაული იმით გამოირჩევა, რომ ის სხვა დღესასწაულებივით არაა დაკავშირებული სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების წლიურ ციკლთან. შაბათი განკუთვნილი იყო დასვენებისათვის შესაქმეს წიგნის მიხედვით, როდესაც ღმერთმა შექმნა სამყარო და მეშვიდე დღეს დაისვენა.



მეშვიდე დღის ქრისტიან ადვენტისტთა ეკლესია

ადვენტისტური ეკლესია განეკუთვნება ქრისტიანული რელიგიის პროტესტანტულ ფრთას და ჩამოყალიბებულია ცალკე დენომინაციად. სახელწოდება "ადვენტისტი" გამომდინარეობს ლათინური სიტყვიდან ადვენტუს, რაც ქრისტეს მეორედ მოსვლას ნიშნავს, ამიტომ საქართველოში იგი ცნობილია როგორც ქრისტეს მეორედ მოსვლის მომლოდინეთა ეკლესია. მისი სწავლება ქადაგებს ქრისტეს მოახლოებულ მეორედ მოსვლას, რაზეც ეკლესიის სახელწოდება მიგვანიშნებს. სახელწოდების პირველი ნაწილი "მეშვიდე დღის" გულისხმობს შაბათი დღის მეშვიდე დღედ აღიარებას უფლის მეოთხე მცნების თანახმად.

▪ ისტორია მსოფლიოში

მე-19 საუკუნეში ჯერ ამერიკაში, შედეგ კი ევროპაში ვითარდება მოვლენები, ცნობილი, როგორც მეორე დიდი რელიგიური გამოღვიძება. ორივე კონტინენტზე იზრდება განსაკუთრებული ინტერესი მათემატიკისა და ციფროლოგიის მიმართ, ყალიბდება სხვადასხვა საზოგადოებები, რომლებიც იკვლევენ ბიბლიურ წინასწარმეტყველებებს, რომელშიც ნახსენებია რიცხვები და თარიღები. განსაკუთრებული ინტერესი ჩნდება წინასწარმეტყველ დანიელის წიგნის მიმართ. ეს საზოგადოებები და ცალკეული პიროვნებები ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ხშირად მიდიან ერთსა და იმავე დასკვნამდე.

პიროვნება, რომლის სახელსაც უკავშირდება ადვენტისტური მოძრაობა, არის უილიამ მილერი, რიგითი ბაპტისტი, ფერმერი. ის მე-19 საუკუნის 30-იან წლებში დანიელის წიგნის კვლევისას მიდის დასკვნამდე, რომ ქრისტეს მეორედ მოსვლა ძალიან მოახლოვდა. დაახლოებით ათი წლის განმავლობაში იგი დუმს და მხოლოდ შინაგანად იტანჯება, რადგან თვლის, რომ ქვეყნის აღსასრულის შესახებ ინფორმაციის დამალვა დანაშაულია.

მას ნამდვილად ვერ წარმოედგინა, რომ სოფლის ეკლესიაში მისი ერთი ქადაგება გამოიწვევდა უდიდეს გამოხმაურებას და მთელი მოძრაობის ჩამოყალიბებას. მაგრამ ყველაფერი სწორედ ასე მოხდა: ამბავი ქრისტეს მოახლოებული მოსვლის შესახებ ელვისებურად მოედო სხვადასხვა ეკლესიებს მთელ ამერიკაში (ამისათვის კი მეორე რელიგიურმა გამოღვიძებამ ყველანაირი ნიადაგი მოამზადა). ამგვარად, სხვადასხვა დენომინაციის ეკლესიებში გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც საუბრობენ და სწამთ, რომ მეორედ მოსვლა მოახლოვდა. ასეთ მორწმუნეებს, რომლებიც მაშინდელი ამერიკის პრაქტიკულად ყველა დენომინაციაში იყვნენ, ადვენტისტები დაარქვეს. ზოგიერთი წყარო

მათ მილერიტებსაც უწოდებს. ეს არ იყო ცალკე დენომინაცია, ეს იყო მოძრაობა, რომელმაც შეძრა ყველა ეკლესია და მთლიანად საზოგადოება.

მილერის ირგვლივ შემოიკრიბა ხალხი, რომელმაც განაგრძო დანიელის წიგნის კვლევა და ერთ-ერთი მუხლის (დან.8:14) ახსნაში დაუშვა უხეში შეცდომა: 2300-წლიანი პერიოდის გამოთვლა დაფუძნებული იყო ყველა ისტორიულ და ქრონოლოგიურ მასალაზე. შეცდომა მდგომარეობდა "საწმიდარი განიწმინდებას" ახსნაში. მაშინდელი წარმოდგენების თანახმად, დედამიწა ითვლებოდა საწმიდრად. სწორედ ეს წარმოდგენა არ გადამოწმდა და დასკვნაც, რომ 1844 წელს მოხდება ქრისტეს მეორედ მოსვლა, მცდარი აღმოჩნდა.

"დიდი სასოწარკვეთილების" შემდეგ მოძრაობა მთლიანად დაიშალა. მაგრამ ამან კიდევ უფრო გააღვივა ინტერესი დანიელის წიგნის მიმართ. ამ პერიოდში დაახლოებით 40-კაციანი ჯგუფი, რომელიც შემდგომში სწრაფად გაიზრდება და ცნობილი გახდება, როგორც მეშვიდე დღის ადვენტისტთა ეკლესია, ცდილობს, იპოვოს შეცდომა და პოულობს კიდეც – დანიელის 8:14 – საწმიდრის ახსნაში. სწორედ დოქტრინა საწმიდრის შესახებ გახდება საფუძველი ამ ეკლესიის მოძღვრებისა.

ეკლესიის ისტორიაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ელენე უაითმა, რომელიც თავიდან მშობლებთან ერთად მილერიტულ მოძრაობაში იყო და ამისათვის გაირიცხა კიდეც მეთოდისტური ეკლესიიდან. 17 წლის ასაკში, სასოწარკვეთილების შემდეგ, როცა იკრიბება ეს 40-კაციანი ჯგუფი, უაითი პირველად ღებულობს ხილვას ადვენტისტური მოძრაობის შესახებ და ამის შემდეგ ხილვებით, წიგნებითა და მოღვაწეობით თავისი წვლილი შეაქვს ეკლესიის ფორმირებაში.

დღეს მსოფლიოში 14 მილიონი. ადვენტისტია. ეს ეკლესია არსებობს მსოფლიოს 210 ქვეყანაში, აქვს ცენტრალიზებული სტრუქტურა, ეწევა აქტიურ მუშაობას სოციალურ სფეროში.

▪ ისტორია საქართველოში

2004 წელს ადვენტისტურ ეკლესიას საქართველოში 100 წელი შეუსრულდა. 1904 წელს საქართველოში ჩამოვიდა პირველი ოფიციალური ადვენტისტი მისიონერი ვაგრამ პამპაიანი. ჩამოყალიბდა პირველი ეკლესიები, რომლებიც გარკვეული დროის შემდეგ, ზეწოლისა და დევნის გამო, პრაქტიკულად დაიშალა. თუმცა მცირე ჯგუფები საქართველოს ზოგიერთ რეგიონში ისევ არსებობდა. 50-იან წლებში თბილისში ეკლესია საგრძნობლად გაიზარდა, მაგრამ რეპრესიებმა ისევ დაასუსტა და დააზიანა ახლად წამოწყებული საქმე. 1977 წელს თბილისში ბაქოდან ჩამოდიან პავლე ლაგუტოვი და ერევნიდან ივანე დრელინგი, რათა უხელმძღვანელონ საქართველოში, კერძოდ, თბილისში არსებულ მორწმუნეთა მცირე ჯგუფებს. ამ დროიდან დღემდე ეკლესიამ გაიარა გარკვეული ეტაპები და დამკვიდრდა საქართველოში.

▪ რწმენა



ადვენტისტურიეკლესიისსწავლებაჩამოყალიბებულია 28 პუნქტად. აქედან მარტივად ჩამოვაყალიბებთ ძირითად დებულებებს:

- წმიდა სამება – მამა, ძე და სულიწმიდა არის ერთი სამპიროვანი ღმერთი;
- ბიბლიის ყველა კანონიკური წიგნი არის ინსპირირებული ღვთის მიერ და წარმოადგენს რწმენის უზენაეს ავტორიტეტს;
- ღმერთია ყოველივე ქმნილების შემოქმედი, მან შექმნა დედამიწა 6 დღეში და მეშვიდე დღეს, შაბათს, დაისვენა;
- ადამიანის ბუნება არის ერთიანი და მთლიანი. მისი პიროვნება (ნეფეშ) შედგება სულისაგან, ანუ სუნთქვა (რუახ) და სხეულისაგან. ცალ-ცალკე არც ერთი კომპონენტი არ წარმოადგენს მოაზროვნე პიროვნებას. სიკვდილის შემდეგ ადამიანს "სძინავს უგონო ძილით", ვიდრე ღმერთი მას აღადგენს მკვდრეთით. ადამიანი დაჯილდოებულია აზროვნების უნარით და თავისუფალი ნებით;
- ცოდვაა ღვთის ნების წინააღმდეგ წასვლა, ანუ მისი მცნებების დარღვევა;
- იესო ქრისტე არის ცოდვისაგან ერთადერთი მხსნელი და მაცხოვარი. მან თავისი განკაცებით, ცხოვრებით, ჯვარცმითა და აღდგომით შეასრულა ღვთიური გეგმა ადამიანის გადასარჩენად;
- მარადიული ცხოვრებისთვის აუცილებელია მონანიება, ზეცით (ხელახლა) შობა და ღვთისადმი მორჩილებით ცხოვრება. ეს ადამიანის საპასუხო რეაქციაა ღვთის მხსნელ მადლზე;
- ეკლესია არის ღმერთის მიერ დაარსებული მორწმუნეთა საზოგადოება, რომლის ფესვები იწყება ძველი აღთქმიდან და გრძელდება მთელი ისტორიის განმავლობაში;
- ათი მცნება არის ღმერთის უცვლელი ზნეობრივი კანონი;
- შაბათი დღე, მეოთხე მცნების თანახმად, არის ღმერთის მიერ გამოყოფილი წმიდა დღე, როცა მორწმუნე ისვენებს ყოველდღიური საქმეებისაგან და ამ დღეს ღმერთთან ატარებს;
- ადამიანის სხეული ღმერთის ტაძარია და მისი დაზიანება ცოდვად ითვლება. ამისათვის ადამიანი უნდა ერიდოს ჯანმრთელობისთვის მავნე ნივთიერებებს და ბიბლიაში აკრძალულ უსურმაგ საკვებს;
- ნათლობა არის მონანიებისა და ხელახლა შობის სიმბოლო, რომელიც წყალში სრული შთაფვლით სრულდება;
- ზიარება არის ქრისტეს მსხვერპლისა და ურთიერთმიტევების სიმბოლო. იგი ტარდება ფეხთბანის შემდეგ, უფუარი პურით და უალკოჰოლო ღვინით, ანუ ყურძნის წვენით;

- 1844 წელს იესო, ჩვენი მღვდელმთავარი, შევიდა ზეციური საწმიდრის წმიდათა წმიდაში და დაიწყო სასამართლო;
- ქრისტეს მეორედ მოსვლა მოახლოებულია, იმ წინასწარმეტყველებებიდან და ნიშნებიდან გამომდინარე, რაც აღსრულდა და სრულდება. იგი მოვა ხილულად და ბოლოს მოუღებს ბოროტების არსებობას. ქრისტეს მოსვლისას მოხდება მართალთა აღდგომა და ზეატაცება;
- ამის შემდეგ იწყება ათასწლოვანი მეფობა, ანუ მილენიუმი, როცა ყველა გადარჩენილი ზეცაშია ქრისტესთან ერთად, ხოლო დედამიწა გაპარტახებულია. ამ პერიოდის შემდეგ ხდება მეორე, ანუ უწმიდურთა აღდგომა დასასჯელად;
- ცოდვის მოსპობის შემდეგ ღმერთი ქმნის ახალ ცას და ახალ მიწას, "რომლებზეც დამკვიდრებულია სიმართლე".

▪ სტრუქტურა

ადმინისტრაციული სტრუქტურა

ადვენტისტთა ეკლესია ჩამოყალიბებულია მსოფლიო ორგანიზაციად, რომელშიც გაერთიანებულია ყველა სტრუქტურული საფეხური.

- რამდენიმე ადგილობრივი ეკლესია ქმნის ერთ გაერთიანებას (კონფერენციას), მაგ: საქართველოს კონფერენცია. მას სათავეში უდგას სამი ადმინისტრატორი: პრეზიდენტი, მდივანი და ხაზინადარი, სამივე 4 წლითაა არჩეული. კონფერენციას მართავს საბჭო.
- რამდენიმე ასეთი კონფერენცია ქმნის ერთ გაერთიანებათა კავშირს (უნიონს). მაგ: ამიერკავკასიისა და ჩრდილოეთ კავკასიის ქვეყნები ქმნიან ერთ კავკასიურ უნიონს, რომლის სათავეში დგას ასევე სამი არჩევითი ადმინისტრატორი, ხოლო მის საბჭოში შედიან კონფერენციის პრეზიდენტები.
- რამდენიმე ასეთი უნიონი გაერთიანებულია ერთ დივიზიონში, რომლის სამი ადმინისტრატორი 5 წლით ირჩევა ეკლესიის მსოფლიო ყრილობაზე, ხოლო უნიონების პრეზიდენტები შედიან დივიზიონის საბჭოში.
- მსოფლიოს 13 დივიზიონი ქმნის ერთ გენერალურ კონფერენციას, რომლის 3 ადმინისტრატორი ირჩევა 5 წლით ეკლესიის მსოფლიო ყრილობაზე.

ასეთი სტრუქტურა საშუალებას აძლევს ეკლესიას, განვითარდეს მთელ მსოფლიოში ერთდროულად და შეინარჩუნოს როგორც ორგანიზაციული, ისე ფინანსური ერთიანობა.

თითოეულ ეკლესიაში და ყველა ადმინისტრაციულ დონეზე მუშაობს დარგობრივი განყოფილებები, მაგ: ახალგაზრდული, მისიონერული, საშაბათო სკოლის, განათლების, რელიგიური თავისუფლების და სხვ.

ადვენტისტთა დახმარებისა და განვითარების სააგენტო – ფუნქციონირებს დამოუკიდებლად, როგორც ერთ-ერთი უმსხვილესი არასამთავრობო ჰუმანიტარული ორგანიზაცია მსოფლიოში.

მსოფლიოში ადვენტისტთა ეკლესიამ დააარსა 97 უნივერსიტეტი, ათობით ათასი სკოლა, 7 სამედიცინო ცენტრი (მაგ: ცნობილი კარდიოლოგიური ცენტრი ომა ინდა), 700-ზე მეტი კლინიკა და საავადმყოფო, 27 ფაბრიკა, ათობით ტელერადიო ცენტრი და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

მოლოკნები



▪ ისტორია

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ საქართველოში სიტუაცია შეიცვალა. 1912 წლის ომის შემდეგ რუსეთში ხალხის ერთ ნაწილს გაუჩნდა პროტესტის განცდა ეკლესიისა და სახელმწიფოს ჰარმონიულ ურთიერთობასთან დაკავშირებით და მიაჩნდათ, რომ სწორედ ამის გამო ისჯებოდა რუსეთი ნაპოლეონის ომებით ღმერთის მიერ. სწორედ ამ დროს დაიწყო რუსეთში პროტესტანტული მოძრაობა, რომელიც, ევროპელი რეფორმატორების მსგავსად, ეკლესიისა და სახელმწიფოს გამიჯვნას მოითხოვდა. მაშინ რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიას მართავდა არა პატრიარქი, არამედ სინოდი, რომელიც, თავის მხრივ, სახელმწიფოსათვის ერთ-ერთ "სამინისტროს" წარმოადგენდა.

გამოჩნდა ქრისტიანთა ერთი ჯგუფი, რომლის დამაარსებლად დუხობორების თემიდან გამოსული, პროფესიით თერძი **სიმიონ უკლეინი** გვევლინება. ევროპელი რეფორმატორებივით, **მოლოკნებს** სურდათ მართლმადიდებელი ეკლესიის რეფორმირება, მაგრამ რაკი ვერაფერს გახდნენ, ჩამოაყალიბეს დამოუკიდებელი მიმდინარეობა. თავდაპირველად მოლოკნები ძალიან ბევრნი იყვნენ და საპროტესტო მუხტიც დიდი იყო. საპასუხოდ მოლოკნებს სდევნიდნენ და ავიწროებდნენ. ამის შედეგად რეფორმატორებმა უარი თქვეს მართლმადიდებელი ეკლესიის ყველა ტრადიციაზე. როდესაც ვამბობთ "ყველას", ეს მართლაც ნიშნავს იმას, რომ ღვთისმსახურების ყველა ფორმა უარყვეს: ნათლისღება, ზიარება... ერთადერთი, რაც მათ დაიტოვეს მართლმადიდებელ ეკლესიაში დამკვიდრებული ტრადიციებიდან, ეს იყო ბიბლია და მისი წამღერებით კითხვა. გარდა ამისა, მოლოკნებმა გამოაცხადეს, რომ რუსი ერის ტრაგედია ალკოჰოლშია და მათ სრულად აიკრძალეს ყველანაირი ალკოჰოლის მიღება. ამი გამო დაარქვეს მათ "რძის მსმელები".

მოლოკნებს ჰქონდათ მძაფრი **ესქატოლოგიური** (იესოს მეორედ მოსვლის მოლოდინი) განცდა.

სახელმწიფო საფრთხეს ხედავდა მოლოკნების მოძრაობაში და გადაწყვიტეს მათი გასახლება. მოლოკნებს სურდათ დასახლება წმიდა მიწაზე, მაგრამ ისინი ისინი საქართველოში გადმოასახლეს.

მოლოკნები ძალიან მშრომელი ხალხი იყო. იმ პერიოდში დედაქალაქის ნახევარზე მეტი მათ ეკავათ, ეკონომიკას თუ სოციალურ ამინდს სწორედ ისინი განსაზღვრავდნენ. ამას მოწმობს დღემდე შემორჩენილი სახელწოდება "**მოლოკნების ბაზარი**", მათვე ეკუთვნოდათ თბილისის მერიის პირველ სართულზე განლაგებული მაღაზიებიც.

მოგვიანებით მოლოკნებმა გადახედეს თავიანთ დამოკიდებულებებს ეკლესიის მიმართ და თქვეს, რომ რაზეც მათ თავის დროზე უარი თქვეს, ყველაფერი როდი იყო უარსაყოფი. მათ ახლებურ აზროვნებას ხელს უწყობდნენ იმ პერიოდში საქართველოში მოსული გერმანელი მისიონერები.

მოლოკნების თემში ჩაეყარა საფუძველი ბაპტისტურ მიმდინარეობას.

▪ რწმენა და ტრადიციები

მოლოკნებისათვის რწმენის უზენაეს ავტორიტეტს ბიბლია წარმოადგენს. ბიბლიის ტექსტებსაც და საეკლესიო საიდუმლოებებსაც სიმბოლოებით ხსნიან. სამება შემდეგნაირად მოიაზრება: მამა ღმერთი არის მეხსიერება, ძე ღმერთი — გონება, ხოლო სულიწმინდა — ნება. ნათლისღებას უწოდებენ აღთქმის დადებას, აქედან გამომდინარე, წყლით ნათლობის აუცილებლობას ვერ ხედავენ. ზიარება არის უფლის სიტყვის შთანერგვა.



რომის კათოლიკური ეკლესია

რომის კათოლიკური ეკლესია მომდინარეობს იესო ქრისტედან და თორმეტი მოციქულიდან. აგრეთვე, ეკლესიის ეპისკოპოსი განიხილება მოციქულთა, ხოლო პაპი — წმიდა პეტრეს მემკვიდრედ. მათეს სახარებაში იესო პეტრეს უწოდებს კლდეს, რომელზეც დააშენებს ეკლესიას და ბჭენი ჯოჯოხეთისა ვერ შეარყევს მას. აქედან გამომდინარე, კათოლიკური ეკლესია თავის მისიად მიიჩნევს იესოს დანაბარებს: "წადით და მოიმოწაფეთ ყოველი დაბადებული, მონათლეთ ისინი მამის, ძისა და სულიწმიდის სახელით".

▪ ისტორია მსოფლიოში

IX საუკუნეში რომსა და აღმოსავლეთის სხვა მართლმადიდებელ ეკლესიებს შორის ურთიერთობა დაიძაბა, რაც ეკლესიათა გახლეჩვით დასრულდა. დიდი სქიზმის კონკრეტული თარიღი 1054 წლის 16-20 ივლისია, მაგრამ ეს დღე საუკუნეების მანძილზე მზადდებოდა.

▪ ისტორია საქართველოში

ლათინური წესის კათოლიკური ეკლესია-მონასტრები საქართველოში XIII საუკუნიდან ჩნდება. რუსუდან მეფის მოწვევით, ფრანცისკელი ბერები 1233 წელს ჩამოდიან თბილისში და პირველ კათოლიკურ მისიას აფუძნებენ.

1240 წელს საქართველოში დაარსდა წმინდა მარტინის სახელობის ლათინური წესის დომინიკელთა კათოლიკური მონასტერი.

1628 წელს პორტუგალიელმა მისიონერებმა თეიმურაზ I-ს დედამისის, წმინდა ქეთევან წამებულის ნეშტის ნაწილები ჩაუტანეს. მადლიერების ნიშნად ავგუსტელ მისიონერებს თეიმურაზმა გორში მიწის ნაკვეთი აჩუქა. სწორედ იქ აიგო კიდეც ეკლესია, სამრეკლო და ორი სახლი.

1630 წლიდან სამეგრელოს მთავრის, ლევან დადიანის მოწვევით სამეგრელოში დომინიკელთა ორდენის ბერები ჩადიან.

ამავე პერიოდში კათოლიკეთა მისია არსდება კახეთში, გურიაში, ქუთაისში, თბილისში. ეკლესიებთან ერთად იხსნება სკოლებიც.

XIX საუკუნეში, როდესაც საქართველო რუსეთის კოლონიად გადაიქცა და ქართული ენა იდევნებოდა, მხოლოდ კათოლიკური მისიები აგრძელებდნენ ქართულად მსახურებას და ყოველნაირად ეწინააღმდეგებოდნენ ცარიზმის კოლონიურ პოლიტიკას.



ამის გამო 1844 წელს საქართველოდან გაასახლეს იტალიელი სასულიერო პირები, რომლებმაც არ ისურვეს, დამორჩილებოდნენ რუსეთის იურისდიქციას.

მომდევნო პერიოდში საქართველოში გადმოსახლებული პოლონელებისა და გერმანელების ხარჯზე განახლდა კათოლიკური ტაძრების მშენებლობა. ამ ტაძრებში XX საუკუნის II ნახევრისთვის უკვე ქართულად მსახურებენ.

ქართული კლასიკური მუსიკის ფუძემდებელი, აღმსარებლობით კათოლიკე, ზაქარია ფალიაშვილი თბილისის კათოლიკური ტაძრის ორგანისტად მსახურობდა.

კომუნისტური მმართველობის ეპოქაში ბოლშევიკური რეპრესიების შედეგად დააპატიმრეს და დახვრიტეს თითქმის ყველა კათოლიკე მღვდელმსახური. თბილისის წმ. პეტრე და პავლე მოციქულების ტაძრის გარდა, საქართველოში დაიხურა ყველა კათოლიკური ეკლესია.

▪ რწმენა

სარწმუნოების წყაროდ კათოლიკეებს სწამთ წმინდა წერილი და წმინდა გადმოცემა (ანუ ეკლესიის ტრადიცია).

რომის ეკლესია filioque-ს დოგმატს, ანუ სულიწმიდის მამისა და ძისაგან გამომავლობას აღიარებს.

პაპი

ლათინური ტერმინი "პაპა" მომდინარეობს ბერძნული სიტყვა "პაპა"-საგან, რაც "მამას" ნიშნავს. ადრექრისტიანულ ხანაში მორწმუნეები ასე მიმართავდნენ მღვდლებს, ეპისკოპოსებს. აღმოსავლეთის ქრისტიანულ ეკლესიებში "პაპის" ტიტული მინიჭებული

"გვწამს ერთი ღმერთი, მამა და ყოვლისამპყრობელი, შემოქმედი ცისა დამიწისა, ხილულისა და უხილავისა. გვწამს უფალი იესო ქრისტე, მისი მხოლოდშობილი ძე, ჭეშმარიტი ღმერთI ღმერთთაგანი, შობილი და არა შექმნილი, მისით შეიქმნა ყოველი. ჩვენი დახსნისათვის ჩამოვიდა ზეციდან, იშვა სულიწმიდის მიერ ქაწელი მარიამის მეშვეობით, განკაცდა. ივნო პილატე პონტოელის დროს, იტანჯა, მოკვნდა დაიფლა და აღსდგა მესამესა დღესა რათა აღსრულებულიყო წერილი. და ზის მარჯვენით ღვთისა, დამ ოვა იქიდან, ცოცხალთა და მკვდართა განსასჯელად.
გვწამს სული წმიდა, უფალი სიცოცხლის მომნიჭებელი, რომელიც გამოდის მამიდან და ძიდან. განდიდებულია მამასთან და ძესთან ერთად. წინასწარმეტყველთა პირით მეტყველი.
გვწამს ერთი წმიდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია.
ვაღიარებთ ერთ ნათლისღებას ცოდვების მისატევებლად.
ველით მკვდრეთით აღდგომას და საუკუნო ცხოვრებას".

ნიკეისა მრწამსი

ჰქონდა ალექსანდრიის პატრიარქს, ხოლო დასავლეთის ეკლესიაში პაპის ტიტულს რომისა და კართაგენის ეპისკოპოსები ატარებდნენ.

IV საუკუნიდან პაპის ტიტულს დასავლეთში მხოლოდ რომის ეპისკოპოსი ატარებს. კათოლიკურ საეკლესიო სამართალში "პაპს" ცვლის გამოთქმა — "რომის პონტიფექსი". "პონტიფექსი" ლათინურად ხიდების მშენებელს ნიშნავს, რაც ამქვეყნიურ სამყაროსა და ღმერთს შორის დამაკავშირებლის სიმბოლოა.

პონტიფექსის ტიტულს ატარებდნენ რომის უზენაესი ქურუმები, იმპერატორები, მათ შორის, კონსტანტინე დიდი.

პაპის მთავარი წოდებაა რომის ეპისკოპოსი, მისი სრული ტიტული კი — ქრისტეს ვიკარიუსი, მოციქულთა მეთაურის, პეტრეს მემკვიდრე, მსოფლიო ეკლესიის უზენაესი პონტიფექსი, დასავლეთის პატრიარქი, იტალიის პრიმასი, რომის ოლქის მთავარეპისკოპოსი და მიტროპოლიტი, ქალაქ რომის ეპისკოპოსი, ქალაქ-სახელმწიფო ვატიკანის მეთაური, ღმრთის მსახურთა მსახური.

ბაპტიზმი

ბაპტიზმზე საუბარი, ალბათ, სწორედ ევროპული რეფორმაციიდან უნდა დავიწყოთ. იგი უკავშირდება სამ დიდ რეფორმატორს: **მარტინ ლუთერს**, **ჟან კალვინს** და **უილრიხ ცვინგლის**. თავდაპირველად რეფორმატორებს არ ჰქონიათ მიზნად ახალი ეკლესიის ჩამოყალიბება. უბრალოდ, ეს იყო პროტესტი კათოლიკურ ეკლესიაში არსებული მდგომარეობის მიმართ. მოგვიანებით, არსებულმა პოლიტიკურმა სიტუაციამ ისინი აიძულა, ეფიქრათ ახალი ეკლესიის ჩამოყალიბებაზე. თუმცაღა ბოლომდე სჯეროდათ, რომ მათ მოღვაწეობას მოჰყვებოდა ფართომასშტაბიანი რეფორმები რომის კათოლიკურ ეკლესიაში. მაგრამ გერმანელმა თავადებმა დიდი როლი ითამაშეს იმაში, რომ რეფორმატორული მოძრაობა ახალ პროტესტანტულ ეკლესიად ჩამოყალიბებულიყო. ამ ეკლესიამ დიდი გავლენა იქონია ზოგადად თანამედროვე ევროპულ ცივილიზაციასა და კულტურის განვითარებაზე.

პირველი ბაპტისტები გვხვდებიან ამსტერდამში 1609 წელს, თუმცა ბაპტისტური ეკლესიის ტრადიციები ბრიტანეთში უნდა ვეძიოთ, სადაც პირველი ბაპტისტური ეკლესია ჩამოყალიბდა 1611 წელს. ბრიტანეთში ბაპტისტური ეკლესია ყალიბდებოდა და იზრდებოდა სამოქალაქო ომის პირობებში. ბაპტისტებს მოიაზრებდნენ, როგორც რევოლუციონერებს და ამის გამო ეკლესიამ ფრთები გაშალა ოლივერ კრომველის დროს. თავდაპირველად ეკლესია აერთიანებდა ძირითადად მოსახლეობის საშუალო და დაბალ ფენებს. XIX საუკუნეში ეკლესიის ზრდა უკავშირდება ინდუსტრიულ რევოლუციასთან, რომელიც ბრიტანეთში მოხდა ქალაქის მოსახლეობის ზრდასთან დაკავშირებით.

ბაპტისტურ ეკლესიაში არსებობს 2 შტო: 1. კალვინისტური შტო, რომელთაც დახსნის თავისებური გაგება აქვთ და 2. ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია, რომელთაც გამძაფრებული განცდა აქვთ ევანგელიზაციისა.

ბაპტიზმზე საუბრისას გვერდს ვერ ავუვლით რეგორმაციის მეორე ტალღას, რომელიც ანაბაპტისტებმა ააგორეს. კალვინის, ლუთერისა და ცვინგლისეული ტრადიციის მიხედვით, თუკი ადამიანი ქრისტიანულ — პროტესტანტულ ან კათოლიკურ ქვეყანაში დაიბადებოდა, იგი ავტომატურად ითვლებოდა ამ ეკლესიის ნაწილად. ეს შედეგია იმისა, რომ რეფორმაციის პირველი ტალღა დიდად იყო დავალებული საერო დიდებულებისაგან. რომ არა მათი მხარდაჭერა, ასეთი ფართომასშტაბიანი რეფორმაცია ვერ განხორციელდებოდა. მაგრამ რეფორმაციის მეორე ტალღამ სწორედ ეს გააპროტესტა. ისინი თვლიდნენ: ის, თუ რომელ სახელმწიფოში დაიბადება ადამიანი, არ უნდა გახდეს მისი რწმენის განმსაზღვრელი ფაქტორი. სწორედ რეფორმაციის რადიკალურმა ტალღამ, რომელსაც ანაბაპტისტები ედგნენ სათავეში, ეჭვქვეშ დააყენა ეკლესიისა და სახელმწიფოს ასეთი ურთიერთობის საკითხი. მისმა წარმომადგენლებმა ციურიხში დაიწყეს ზრდასრული ადამიანების ხელმეორედ მონათვლა და სწორედ აქედან მომდინარეობს მათი სახელი "ანაბაპტისტები", ანუ "ხელმეორედ მონათლულები". დევნა, რომელიც განიცადეს ანაბაპტისტებმა მომდინარეობდა რეფორმატორების იმ წარმომადგენლებისგან, რომლებიც თავის დროზე ასეთსავე დევნას განიცდიდნენ რომის კათოლიკური ეკლესიისაგან. ისინი იძულებულები გახდნენ, შვეიცარიიდან ევროპის სხვა ქვეყნებსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში მოეძებნათ თავშესაფარი.

▪ ისტორია საქართველოში

საქართველოში ბაპტისტური თემი თავიდან იზრდებოდა მალაკნების წიაღში. პირველი ბაპტისტი გახლდათ **ვორონინი**, რომელიც მონათლა **კალვეიტმა** 1868 წლის 20 მაისს და ეს ითვლება მაშინდელი რუსეთის იმპერიაში ბაპტისტური მოძრაობის საწყისად. ქართულენოვანი თემი თბილისში პლეხანოვზე, პეტერბურგის ქ. 3-ში დაარსდა დამოუკიდებელი რესპუბლიკის წლებში.

ბაპტისტების პირველი ქართველი წინამძღვარი გახლდათ **ილია კანდელაკი**, რომელიც მოგვიანებით 1926 წელს მოკლეს. ეს იყო დასაწყისი ფართომასშტაბიანი დევნისა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე კომუნისტებმა დაიწყეს მართლმადიდებელი ეკლესიის დევნა. მაშინ პროტესტანტებს ეგონათ, რომ მათ ეს დევნა არ შეეხებოდათ, მაგრამ შეცდნენ: მართლმადიდებელი ეკლესიის შემდეგ მთავრობამ მათთვისაც მოიცალა. ღვთისმსახურები გადაასახლეს საქართველოდან და ეკლესიები დაიხურა მეორე მსოფლიო ომის დამთავრებამდე. უცნობი მიზეზების გამო, სტალინმა ჩერჩილთან შეხვედრის შემდეგ გადაწყვიტა, ეკლესიებისათვის მოღვაწეობის თავისუფლება მიეცა, ოღონდ ერთი პირობით: პროტესტანტული ეკლესიები უნდა გაერთიანებულიყვნენ. ასე კომუნისტური მთავრობისათვის მათი კონტროლი გაცილებით იოლი იქნებოდა. საქართველოში მაშინ მხოლოდ ორი პროტესტანტული ეკლესია იყო: **ევანგელური** და **ბაპტისტური**, რომლებიც გაერთიანდნენ ერთ ეკლესიად. ქართულენოვანი მსახურების უფლება ეკლესიას მხოლოდ თბილისში ჰქონდა, ამიტომაც ხალხი რეგიონებიდან ჩამოდიოდა.

▪ რწმენა

ბაპტისტურ ეკლესიას, განსხვავებით სხვა ქრისტიანული დენომინაციებისაგან, არ აქვს ცენტრალური მმართველობითი ორგანო. ადგილობრივი ეკლესიები წარმოადგენენ დამოუკიდებელ ერთეულებს. მიუხედავად ამისა, შეიძლება გამოვყოთ ის ძირითადი თეოლოგიური საკითხები, რის გარშემოც ერთიანდებიან ბაპტისტური ეკლესიები. თავისი ფესვებით ბაპტისტური ეკლესია წარმოადგენს ორთოდოქსულ ეკლესიას, რამდენადაც იგი აღიარებს **სამებას**, აღიარებს ქრისტეს **ორბუნებიანობას, ქალწულის მიერ შობას, იესოს აღდგომას**.

ბაპტისტურ ეკლესიას აქვს გარკვეული თავისებურებებიც:

- უზენაეს ავტორიტეტს წარმოადგენს ბიბლია (მათ 24:35; I პეტრე 1:23; II ტიმ 3:16-17)
- ნათლობა ზრდასრულ ასაკში (წყალში სრული შთაფვლით) (მათ. 28:19-20)
- მადლით გადარჩენა (რომ.11:6)
- ადგილობრივი ეკლესიის დამოუკიდებლობა (მათ 18:15-17; I კორ. 6:1-3)
- საყოველთაო მღვდლობა, თითოეულ მორწმუნეს აქვს პირდაპირი ურთიერთობა უფალთან და არ სჭირდება შუამავალი, გარდა ერთისა, იესო ქრისტესი (1 პეტრე 2:5-9; I ტიმ.5)
- სულის თავისუფლება, რაც იმაში გამოიხატება, რომ თითოეული ადამიანი თავისუფალია უფლის წინაშე და თავად იღებს პასუხისმგებლობას გადაწყვეტილებაზე (რომ 14:5-12)
- ეკლესიისა და სახელმწიფოს გამიჯვნა (მათ. 22:15-22)
- სამი სახის ხელდასხმა (დიაკვნის, ხუცესის, ეპისკოპოსის); ზოგიერთ ბაპტისტურ ეკლესიას აქვს მხოლოდ ორგვარი ხელდასხმა: ზოგს არ აქვს ხუცესის ხელდასხმა, ზოგს არ აქვს ეპისკოპოსის.

▪ პროექტები

- ბეთელის ცენტრი (მოხუცებულთა სახლი)
- დიაკონისელთა "წმიდა ნინოს ორდენი"
- ზაფხულის ბანაკები
- ელიას სკოლა
- ბავშვთა ჰარმონიული განვითარების სკოლა
- იკონოგრაფიის სკოლა





საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია

საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია - ერთ-ერთი უძველესი ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია. IV საუკუნის დამდეგს, 317 წელს, მოციქულთა სწორის, წმინდა ნინო კაპადოკიელის ძალისხმევით ქრისტიანობა გამოცხადდა იბერიის სამეფოს (აღმოსავლეთ საქართველო) სახელმწიფო რელიგიად. ქართული მართლმადიდებელი ეკლესია ავტოკეფალურია (დამოუკიდებელია) 484 წლიდან, მანამდე შედიოდა ანტიოქიის პატრიარქის დაქვემდებარებაში. სხვა მართლმადიდებლური ეკლესიებისაგან განსხვავებით, მას აქვს ზოგიერთი განსხვავება ლითურგიულ წესებში.

V საუკუნის 60-70-იან წლებში მეფე ვახტანგ გორგასლის დროს და მისი თხოვნით, ბიზანტიის იმპერატორისა და კონსტანტინეპოლის პატრიარქის შუამდგომლობით, ანტიოქიის საპატრიარქომ ქართლის ეკლესიას თვითმართველობა (ავტოკეფალია) მიანიჭა, ხოლო მცხეთის ეპისკოპოსი აყვანილ იქნა კათალიკოსის პატივში. დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) ეკლესია კონსტანტინეპოლის პატრიარქს ექვემდებარებოდა. IX საუკუნეში აქაც საკათალიკოსო მმართველობა იქნა შემოღებული. XI საუკუნის დასაწყისში (1010) საქართველოს ერთიანი მონარქიის შექმნის პროცესში მცხეთის (ქართლის) კათოლიკოსი აყვანილ იქნა პატრიარქის ხარისხში. ამ დროიდან მოყოლებული საქართველოს ეკლესიის უმაღლესი იერარქი ატარებდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ტიტულს. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სათავეში თავიდან იდგა არქიეპისკოპოსი, V საუკუნიდან – კათოლიკოსი, XI საუკუნიდან – კათოლიკოს-პატრიარქი, რომლის რეზიდენცია მცხეთაში იყო. დასავლეთ საქართველოს ჰყავდა თავისი კათოლიკოსი. მისი რეზიდენცია ბიჭვინთაში იყო, მაგრამ XV საუკუნემდე ემორჩილებოდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს.

საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას დიდ ეკონომიკური ძალაუფლება ჰქონდა, იგი ფლობდა დიდ მიწებს და ბევრ ყმა-გლეხებს. მისი ქონება იზრდებოდა მეფეებისა და ფეოდალებისაგან შემოწირულობების ხარჯზე. ქართულმა ეკლესიამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქვეყნის პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში: აშენდა ბევრი ეკლესია-მონასტერი როგორც საქართველოში (ალავერდი, ვარძია, გელათი, იყალთო, შატბერდი და სხვა), ასევე მის ფარგლებს გარეთ (პალესტინა, სირია, საბერძნეთი, ბულგარეთი), სადაც ფართო სამეცნიერო, ლიტერატურული და კულტურული მოღვაწეობა მიმდინარეობდა.

1811 წელს რუსეთის საიმპერატორო კარმა უკანონოდ გააუქმა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, მოსპო საპატრიარქო მმართველობა და საქართველოს ეკლესია საეგზარქოსოს უფლებით დაუქვემდებარა რუსეთის ეკლესიის სინოდს. 1917 წლის მარტში საქართველოს სამღვდელოებამ აღადგინა ქართული ეკლესიის ავტოკეფალია და კვლავ შემოიღო საპატრიარქო მმართველობა. ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ პირველ კათოლიკოს-პატრიარქად არჩეულ იქნა ცნობილი საეკლესიო მოღვაწე ეპისკოპოსი კირიონი. 1989 წელს V საუკუნიდან არსებული საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია და ოდითგანვე არსებული საპატრიარქო პატივი საქართველოს კათოლიკოსისა დაადასტურა მსოფლიო საპატრიარქომ. 1977 წლიდან დღემდე სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი და მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსია უწმიდესი და უნეტარესი ილია II.



ორმოცდაათიანელთა ეკლესია

"საქართველოს სახარების რწმენის ეკლესია (იგივე ორმოცდაათიანელთა ეკლესია), ანუ "**Pentecostal Church**" ერთ-ერთი გვიანპროტესტანტული ქრისტიანული მიმდინარეობაა, რომლის იდეური წყაროები რევივალიზმის (ინგლ. revival — აღდგენა, აღორძინება) რელიგიურ-ფილოსოფიურ მოძრაობაშია საძიებელი. სულიწმინდის გარდამოსვლის ორმოცდამეათე დღეს მთელი ქრისტიანული სამყარო აღნიშნავს, როგორც ეკლესიის დაბადების დღეს (საქმენი 2).

ეკლესიას "ქარიზმატულ" მიმდინარეობას მიაკუთვნებენ, რომლის აღმსარებელთა რწმენის საფუძველს შთაგონება (მადლი, "ქარიზმა") წარმოადგენს, რომლის შეძენაც უშუალო მისტიკური გამოცდილებით ხდება.

საქართველოს სახარების რწმენის ეკლესიაში არსებობს ორი ძირითადი მიმართულება: ტრინიტარელები, რომლებიც "მამის, ძის და სული წმინდის სახელით" ნათლავენ და უნიტარელები, რომლებიც მხოლოდ "იესო ქრისტეს სახელით" ნათლავენ.

საქართველოს სახარების რწმენის ეკლესია ტრინიტარულ მიმართულებას მიეკუთვნება.

▪ ისტორია მსოფლიოში



ორმოცდაათიანელთა მოძრაობა ჩრდილოეთ ამერიკაში დაიწყო მე-19 საუკუნის ბოლოს. გადმოცემის თანახმად, ყველაფერი ე.წ. "სიწმინდის მოძრაობიდან" დაიწყო. ერთ-ერთი მეთოდისტური ეკლესიის მღვდელმა, ჩარლზ ფოქს პარჰამმა (1873-1929), ბიბლიური სკოლა დააარსა. იქ პარჰამი და მისი მოწაფეები იმგვარი ნათლობის მისაღებად ლოცულობდნენ, რომლის დამახასიათებელი ნიშანიც უცხო ენებზე ალაპარაკება იქნებოდა.

ერთხელ, მთელი დღის ერთობლივი ლოცვის შემდეგ, პარჰამის მოწაფე აგნესა ოზმანი მოძღვრისგან ხელდასხმის დროს უცხო ენებზე ამეტყველდა (უცხო ენებზე ლაპარაკის ფენომენი ცნობილია სახელწოდებით "გლოსოლალია" — ბერძ. "გლოსსა" ენა, "ლალო" მეტყველება).

ამ ფაქტზე დაყრდნობით ორმოცდაათიანელთა ეკლესია საკუთარი დაფუძნების ოფიციალურ თარიღად 1901 წლის 1 იანვარს მიიჩნევს.

▪ ისტორია საქართველოში

1917 წელს უკრაინიდან საქართველოში გადმოსახლდა მოქალაქეთა ჯგუფი, რომელთა შორის ორმოცდაათიანელთა ეკლესიის წევრებიც იყვნენ. სწორედ მათ მიერ დაფუძნდა საპორტო ქალაქებში (ფოთში, ბათუმში) ამ აღმსარებლობის ადამიანთა პირველი საკრებულოები, რომლებმაც ნელ-ნელა განვითარება იწყეს.

1924 წლიდან აბასთუმანშიც იწყება ორმოცდაათიანელთა ჩამოსახლება, ხოლო 1938 წლიდან უკვე თბილისსა და გორშიც ყალიბდება მათი თემები.

ამჟამად საქართველოს სახარების რწმენის ეკლესიის ეპისკოპოსია ოლეგ ხუბაშვილი.

რაოდენობა
ორმოცდაათიანელთა ეკლესია 50 მილიონზე მეტ წევრს ითვლის თითქმის ყველა ქვეყნიდან, ხოლო საქართველოში ამ ეკლესიის 10 000-მდე მორწმუნეა.

▪ რწმენა

1. **წერილების ღვთივსულიერობა**

   მთელი ბიბლია, ძველი და ახალი აღთქმა, ღმერთისაგან შთაგონებილი წიგნია. იგი წარმოადგენს უზენაესი ღმერთის გამოცხადებას ადამიანებისადმი. ბიბლია ჩვენი რწმენის და ყოველდღიური ცხოვრების ერთადერთი ავტორიტეტული წიგნია (II ტიმ.3:15-17. II პეტ.1-21).

2. **ერთადერთი ჭეშმარიტი ღმერთი**

   ბიბლია ამოწმებს ერთადერთი ჭეშმარიტი და მარადიული **ღმერთის** შესახებ. ის არის შემოქმედი ყოველი ქმნილების. ღმერთი არის ყოვლისშემძლე, ყოვლისმცოდნე, უსასრულო სიწმინდესა და სიყვარულში. ღმერთი არის **სამპიროვანი** — მამა, ძე და სულიწმინდა (II რჯული 6:4; მათე 28:19). ურთიერთდამოკიდებულების თვალსაზრისით ძე არის მამაში და მამა არის ძეში. სულიწმინდა კი გამოდის როგორც მამისაგან, ისე ძისაგან. მაშასადამე, ღვთიურ სისავსეში არც ერთი მათგანი არ მოქმედებს ერთმანეთისგან დამოუკიდებლად.

3. **უფალ იესო ქრისტეს ღვთაებრიობა**

   წმინდა წერილი პირდაპირ აცხადებს, რომ იესო ქრისტე არის ღმერთის ძე. ახალ აღთქმაში ის მოხსენიებულია როგორც "ძედ ღმრთისად", ისე "ძე კაცისად".

4. **ადამიანის დაცემა**

   ღმერთმა ადამიანი შექმნა თავის ხატად და მსგავსად, კეთილად და მართლად. მას მიცემული ჰქონდა თავისუფალი ნება, რომელიც ბოროტად გამოიყენა და შესცოდა. ამ

ცოდვის შედეგად ადამიანი მოკვდა როგორც ფიზიკურად, ისე სულიერად, რაც ნიშნავს ღმერთისაგან ჩამოშორებას (დაბ. 1:26,27; 2:17; რომ 5:12-19).

5. **ადამიანის ხსნა**

- ადამიანის ხსნა მხოლოდ იესო ქრისტეშია (საქმე4:12;რომ10:2-13)
- ხსნა მოდის ღმერთისგან და არა ადამიანისგან (ლუკ. 3:6)
- ხსნას ვღებულობთ მადლით და არა ჩვენი დამსახურებით (ეფეს2:8-10; ლუკ. 24:47)
- ხსნის შინაგან დასტურს წარმოადგენს სულიწმინდის პირდაპირი მოწმობა (რომ. 8:16), გარეგნული მოწმობა კი გახლავთ ყველა ადამიანის წინაშე სიმართლით და ჭეშმარიტი სიწმინდით ცხოვრება (ტიტე 2:11-12; Iიოან. 4:7-8; გალატ. 5:22-23).

6. **ეკლესიის დადგენილებანი**

ა) წყლით ნათლობა

წმინდა წერილი ბრძანებს: ყოველი, ვინც მოინანიებს და ირწმუნებს ქრისტეს, როგორც მხსნელსა და უფალს, უნდა მოინათლოს (მათე 28:19; საქ. 2:38). ამით ისინი ქვეყნიერებას უცხადებენ, რომ ქრისტესთან ერთად დაიხოცნენ, აღდგებიან და იმეფებენ (რომ 6:1-4).

ბ) ზიარება

ზიარებისდროსმიღებულიპურიდაღვინოსიმბოლურადგამოხატავსიესოსდამტვრეულ სხეულს და დაღვრილ სისხლს. ზიარება ასევე აღნიშნავს ჩვენს მონაწილეობას ყველა იმ საკითხში, რაც ქრისტეს სიკვდილმა და აღდგომამ მოიტანა. ეს არის გახსენება მისი სიკვდილის და, ამავდროულად, მისი მეორედ მოსვლის მოლოდინი (I კორ. 11:26).

7. **სულიწმიდით ნათლობა**

წმინდა წერილის თანახმად, ყოველი მორწმუნე უნდა ინათლებოდეს წყლით და სულიწმინდის მადლით. ადრეულ ქრისტიანულ ეკლესიებში სულიწმინდით ნათლობა ყველასთვის მიღებული მოვლენა გახლდათ (საქ.8:17;10:44-46;19:1-7). სულიწმიდით ნათლობას მოჰყვება სულით აღვსების განცდა (იოანე7:37,38.საქ. 4:8).

8. **სულიწმიდით ნათლობის მოწმობა**

წმინდა წერილში, კერძოდ კი საქმენი მოციქულთას მე-2 თავის მე-4 მუხლში ნათლად ჩანს, რომ სულიწმინდით აღვსილნი იწყებდნენ სხვადასხვა **ენებზე საუბარს,** როგორც სული აამეტყველებდათ მათ (საქ 2:4; 10:44-46; 19:1-7). ენებზე ლაპარაკი (I კორ 12:4-10; 14:1-39) არსით იგივეა, მაგრამ მიზნის და გამოყენების მხრივ განსხვავდება ენების ნიჭისაგან.

9. **განწმენდა**

განიწმინდო, ნიშნავს, გაექცე ბოროტებას და მთლიანად მიუძღვნა თავი ღმერთს (რომ 12:12,I თეს.5:23, ებრ 13:12). განწმენდა ვლინდება ჩვენი ქცევებისა და ხასიათის შეცვლაში.

10. ეკლესია და მისი მისია

ეკლესია არის ქრისტეს სხეული (I კორ 12:27; ეფეს 4:12), ღმერთის სულის სამკვიდრო, ღვთიური აღჭურვილობით შემოსილი, მასზეა დაკისრებული დიადი ღვთიური მისია. ეკლესიის უმთავრესი მიზანია:

- აქტიურად გაავრცელოს სახარება მთელ მსოფლიოში (საქ 1:8; მათე 28:19,20; მარკ 16:15,16)
- წარმოადგენდეს მსოფლიო ეკლესიის ნაწილს
- იყოს შუამავალი ღმერთის მიზნის მისაღწევად, რათა ამით სრულყოს წმინდანნი მისი ძის ხატად (ეფეს 4:11-16; I კორ 12:28; 13:12). ეკლესია არსებობს სწორედ იმისათვის, რომ ახალი აღთქმის მოციქულთა მაგალითის მსგავსად, გაამახვილოს ყურადღება მორწმუნეთა სულიერ განსწავლაზე და მათი სულიწმინდით მონათვლის უცილობო მნიშვნელობაზე.

11. მსახურება

ეკლესია მოწოდებულია, აღასრულოს ღმერთის ნება და განზრახვა, ამიტომ ყოველი ზეციდან შობილი ქრისტიანის მოვალეობაა, ემსახუროს ღმერთს ძირითად სამ სფეროში:

- ახაროს ღვთის სიტყვა ქვეყნიერებას (მარკ 16:15-20)
- თაყვანი სცეს ღმერთს (იოანე 4:23,24)
- ქრისტეს სხეულის განსწავლა (ეფეს 4:11-13)

12. ღვთიური განკურნება

ავადმყოფობა და სიკვდილი ცოდვის შედეგად შემოვიდა ქვეყნიერებაზე (რომ 5:12). ქრისტემ გამოგვისყიდა ცოდვის წყევლისაგან და ამის შემდეგ განკურნება შესაძლებელი გახდა ყოველი მორწმუნისათვის (გალ 3:10-14).

13. ნეტარი იმედი

ეკლესიის იმედი მკვდრეთით აღდგომისა და წმინდანთა ზეატაცების შესახებ თვით უფლის სიტყვებზეა დაფუძნებული (I თეს 4:13-18; I კორ 15:50-57). ზეატაცება სამუდამოდ დაიხსნის წმინდანებს ტანჯვისა და მწუხარებისგან. ყველა წმინდანს მიეზღვება თავიანთი საქმეების მიხედვით (გამოცხ 22:12; I კორ 15:54).

14. ქრისტეს ათასწლოვანი მეფობა

ქრისტიანების ზეატაცებას მოჰყვება ქრისტეს ხილული დაბრუნება თავის წმინდანებთან ერთად, რათა ათასი წლით იმეფონ დედამიწაზე (გამოცხ. 20:1-6; მათე 24: 26-31).



15. საბოლოო სამსჯავრო

იქნება საბოლოო განკითხვა, რომლის დროსაც მკვდრეთით აღდგებიან უკეთურნი და თავიანთი საქმეების მიხედვით გასამართლდებიან (მათე 25:31-46; მარკ 9:42-49; გამოცხ 19:20; 20:11-15; 21:8).

16. ახალი ცა და ახალი მიწა

ათასწლიანი პერიოდის გასვლის შემდეგ დატყვევებული ეშმაკი გათავისუფლდება, მცირე ხნით გამოვა ღმერთის წინააღმდეგ საბრძოლველად, გადმოვა ციდან ცეცხლი და შთანთქავს უწმინდურ მხედრობას. ძველი სისტემა განადგურდება და სამყარო გარდაისახება "ახალ ცად და ახალ მიწად" (გამოცხ 20:1-10; 21:22; II პეტ 2:13).

▪ სტრუქტურა

ევანგელურ-ორმოცდაათიანელთა იერარქიას ხელმძღვანელობს ეპისკოპოსი, რომელსაც ჰყავს თავისი დამხმარე რეგიონული ეპისკოპოსები. მათ ექვემდებარებიან პასტორები თავიანთი მრევლით.

საქართველოს ევანგელურ-ორმოცდაათიანელთა ეკლესიაში მოქმედებს აგრეთვე "სულიერი საბჭო, რომელიც ეპისკოპოსებისა და პასტორებისგან შედგება.

სამღვდელო პირების შერჩევაში "საბჭოსთან" ერთად მრევლიც მონაწილეობს.
ორმოცდაათიანელთა ეკლესიაში არსებობს აგრეთვე დიაკონებისა და დიაკონისების ინსტიტუტი.

‘სიცოცხლის სიტყვა’

ევანგელური ეკლესია “სიცოცხლის სიტყვა” (“Word of Life”) ჩამოყალიბდა 1983 წლის 24 მაისს შვედეთში, ქალაქ უპსალაში. ამ მიმდინარეობის ფუძემდებელია ამავე ქვეყნის მკვიდრი, ულფ ეკმანი.

1970-იან წლებში უპსალაში რამდენიმე სტუდენტმა ბიბლიის შემსწავლელთა ჯგუფი ჩამოაყალიბა. მათი მიზანი საკუთარი მეგობრების ევანგელიზაცია იყო. ამ ჯგუფის ერთ-ერთი წევრი გახლდათ ულფ ეკმანიც. იგი გულმოდგინედ სწავლობს თეოლოგიას, აქტიურად მოღვაწეობს აღნიშნული ჯგუფის სამეცნიერო საქმიანობაში; შედეგად, იგი ხდება ამ დარგის ერთ-ერთი წამყვანი სპეციალისტი უპსალის უნივერსიტეტში.

შემდეგ ულფ ეკმანი ამერიკაში, ოკლაჰომას შტატში, ტულსას ბიბლიურ ცენტრში მიემგზავრება იქ არსებული “რწმენის აღორძინების მოძრაობის” გასაცნობად. ერთი წლის შემდგ იგი შვედეთში ბრუნდება და, გადმოცემის თანახმად, სწორედ ამ პერიოდში ღებულობს ღვთის სიტყვას, რომელიც მოუწოდებს: ”გაავრცელე რწმენის სიტყვა ადამიანებში. მიუთითე მათ ამ სულიერ იარაღზე. ასწავლე, როგორ გამოიყენონ იგი და გაგზავნე ისინი ღვთის სახელით სულიერ ბრძოლაში გასამარჯვებლად”.

ამის შედეგად 1983 წელს გაზაფხულს დაფუძნდა ეკლესია “სიცოცხლის სიტყვა”.

▪ ისტორია საქართველოში

ევანგელური ეკლესია “სიცოცხლის სიტყვა” საქართველოში 1995 წელს მამუკა ჯებისაშვილის ხელმძღვანელობით დაფუძნდა.

1995 წელს იგი ეკლესიის დასაფუძნებლად მიემართება ქარელის რაიონ სოფელ კეხიჯვარში. რის შედეგადაც სოფელში ყალიბდება ფრიად ორგანიზებული ეკლესია, რომლიც დრესაც არსებობს. 1997 წელს ეკლესია თბილისშიც ჩამოყალიბდა.

▪ რწმენა

ევანგელური ეკლესია “სიცოცხლის სიტყვა” იმავე დოქტრინით ხელმძღვანელობს, რითაც ევანგელურ-ორმოცდაათიანელთა ეკლესია, ხოლო ღვთისმსახურება თითქმის არაფრით განსხვავდება სხვა ტრადიციული პროტესტანტული ეკლესიების მსახურებისგან.

ეკლესია აღიარებს შემდეგ საიდუმლობებს: ნათლობას, ზიარებას და ქორწინებას.

▪ სტრუქტურა

ევანგელური ეკლესიის ცენტრი თბილისში მდებარეობს. რეგიონებში 14 საკრებულო მოქმედებს: ბათუმში, ქობულეთში, ზუგდიდში, გორში, გურჯაანში, თელავში და სხვ.

სომხური სამოციქულო ეკლესია

სომხური სამოციქულო ეკლესია (Հայ Առաքելական Եկեղեցի) ერთ-ერთი უძველესი ქრისტიანული ეკლესიაა. მისი სრული სახელია"სომხური მართლმადიდებელი და სამოციქულო ეკლესია".

▪ ისტორია მსოფლიოში და საქართველოში

სომხეთის მოქცევა



სომხეთში ქრისტიანობა პირველ საუკუნეში იქნა ნაქადაგები. ეს მოძღვრება თავად მოციქულებმა თადეოზმა და ბართლომემ იქადაგეს, მაგრამ სახელმწიფორელიგიად ქრისტიანობა გამოცხადდა 314 წელს, როდესაც წმინდა გრიგოლმა (240-325 წწ.) მეფე **ტირიდატე** III მონათლა. მანამდე წმინდა **გრიგოლი** მეფეს მიწის ქვეშ საპყრობილეში ჰყავდა დატუსაღებული 13 წლის განმავლობაში.

გაქრისტიანების შემდეგ სომეხი ხალხის წინაშე დადგა საღვთო წერილის თარგმნის აუცილებლობა. 406 წელს **მესროფ მაშტოცმა** (355-438 წწ) ფასდაუდებელი შრომა გასწია: შეადგინა ანბანი და 348-338 წლებში ახალი ანბანის გამოყენებით ითარგმნა წმინდა წერილი.



ქალკედონიის საეკლესიო კრება და მონოფიზიტობა

მონოფიზიტობა ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს ერთბუნებიანობას (მონოს "ერთი" და ფიუსის "ბუნება"). ამ მოძღვრების დამაარსებლებად ითვლებიან დიოსკორე და ევტიქი. ისინი ქადაგებდნენ, რომ იესო ქრისტე წუთისოფელში ორი ბუნებით დაიბადა, მაგრამ ღვთაებრივმა ბუნებამ შთანთქა იესოს ადამიანური ბუნება. ასე რომ, მისი ტანჯვა-წამება და სიკვდილი იყო ილუზორული და არარსებული.

ეს პოზიცია დაგმო რომის პაპმა ლეონმა თავის ცნობილ ეპისტოლეში. 451 წელს მონოფიზიტობის ერესს მიეძღვნა IV მსოფლიო საეკლესიო კრება ქალკედონში. ეს იყო ერთ-

ერთი ყველაზე მრავალრიცხოვანი კრება, რაც განსახილველი საკითხის მნიშვნელობაზე მეტყველებს. კრებამ დაგმო მონოფიზიტობა და დაადგინა ქრისტეს ორბუნებიანობის დოგმატი: "იესო არის სრულყოფილი ღმერთი და სრულყოფილი კაცი..." ესაა დიოფიზიტური დოგმატი.

საქართველოსა და სომხეთის ეკლესიებს შორის სარწმუნოებრივ ნიადაგზე განხეთქილება VI საუკუნის დასაწყისში დაიწყო და 554 წელს მწვერვალს მიაღწია. დვინის საეკლესიო კრებაზე სომხურმა ეკლესიამ მონოფიზიტობა აღიარა და ორ მოძმე ეკლესიას შორის შეწყდა ევქარისტიული კავშირი.

V-VI საუკუნეებში სომხეთის ერმა სახელმწიფო დაკარგა და ერის გაერთიანების ფუნქცია ეკლესიამ იკისრა. ამან ხელი შეუწყო ნაციონალური ეკლესიის ჩამოყალიბებას. სომხური ეკლესიის წმინდა ქალაქი ეჩმიაძინია. გადმოცემის მიხედვით, წმინდა გრიგოლს თავად ღმერთმა მიანიშნა ტაძრის ადგილი, სადაც უფალი დაივანებდა. ეჩმიაძინში ცხოვრობს პატრიარქი და უწმიდესი კათოლიკოსი ყოველთა სომეხთა. არსებობს ასევე იერუსალიმისა და კონსტანტინოპოლის საპატრიარქოებიც, მაგრამ ამათგან ეჩმიაძინის კათედრა უპირატესია.

საეკლესიო პრაქტიკა

თეოლოგიურმა თავისებურებამ რელიგიურ პრაქტიკაშიც იჩინა თავი. ერთბუნებიანობის ხაზგასასმელად სომხები ზიარებას უცომო პურით და წყალგაურეველი ღვინით ატარებენ. შენარჩუნებულია იესოს შობისა და ნათლისღების ერთობლივად დაყენების აღმოსავლური ტრადიცია. შემოიღეს დიდმარხვის წინ ერთკვირიანი მძიმე მარხვა სუფსარქისი. ამ კვირაში ეკლესია მოიხსენიებს წმიდა სარქისს (სერგი).

საქართველოში სომხური სამოციქულო ეკლესია წარმოდგენილია შვიდი ეკლესიით. მესხეთ-ჯავახეთში მორწმუნეთა რიცხვი 200 000-ს აღწევს. ეთნიკური სომხების რიცხვი საქართველოში სულ 500 000-მდეა.

ხსნის არმია

ხსნის არმია არისსაერთაშორისო მოძრაობა, რომელიც წარმოადგენს მსოფლიო ქრისტიანული ელესიის ნაწილს. იგი ორგანიზებულია სამხედრო სტრუქტურის მიხედვით, რადგან მისი დამაარსებელი უილიმ და კატერინა ბუთები თვლიდნენ , რომ ქრისტიანი ბრძოლაშია ჩაბმული. აქედან მომდინარეობს მისი სახელიც.

▪ ისტორია მსოფლიოში

ხსნის არმია ქრისტიანული ეკლესიის განუყოფელი ნაწილია, თუმცა მისთვის დამახასიათებელია საქმიანობის, მოღვაწეობის სპეციფიკა.

არმიის დოქტრინები გამომდინარეობს ქრისტიანული რწმენის საფუძვლებიდან და მისი მრწამსი ასახავს ღმერთის მხსნელ მიზანს. მისი არსია ქრისტიანული რელიგიის განვითარება, განათლების მიღება, სიღარიბის დაძლევა და სხვადასხვა საქველმოქმედო საქმიანობა საზოგადოების და, ზოგადად, მთელი კაცობრიობის საკეთილდღეოდ.
მოძრაობა, რომლის დამფუძნებელიც არის ინგლისელი უილიამ ბუთი, მსოფლიოს სხვა ქვეყნებშიც ფუნქციონირებს.

პირველი ხსნის არმიელების სწრაფი რაოდენობრივი ზრდა მოხდა 1878 წელს, როცა ჩამოყალიბდა ე.წ. "სამხედრო სტილის" სამეთაურო სტრუქტურა და როცა ორგანიზაციას ოფიციალურად "ხსნის არმია" ეწოდა. ქრისტიანულ სულიერ ბრძოლაში მონაწილეობის დამადასტურებლად, რაშიც ეკლესიაა ჩართული, ხსნის არმიამ მიიღო ჯარისკაცის წოდებები, ფორმები, დროშები, რაც შთააგონებს და გამოარჩევს მის მიმდევრებს საზოგადოებისგან.
გენერლის უფლებამოსილებით და თანხმობით, ევანგელურ და სოციალურ საქმიანობებს ხელმძღვანელობენ ამ თანამდებობებზე დანიშნული ოფიცრები, რომელთაც რელიგიურ მსახურებად აღიარებენ, ყველა ხსნის არმიელი ემორჩილება დისციპლინას და იცავს მაღალ მორალურ სტანდარტებს. აქ იგულისხმება თამბაქოს და ალკოჰოლის არგამოყენება.

ადრეული წლებიდან არმია ეთანხმებოდა ქალთა თანასწორუფლებიანობის საკითხს. ყველა სახის წოდებისათვის და ყველანაირი მსახურებისათვის მათ გზა ჰქონდათ ხსნილი და ბავშვობიდანვე მოწოდებულნი იყვნენ ღმერთის სიყვარულისა და მსახურებისკენ.

ევანგელიზაციასთან ერთად, არმიამ სპონტანურად მიიღო მონაწილეობა სოციალურ სამსახურში, გაჭირვებულთა დასახმარებლად. ასეთი სახის დახმარებები ხორციელდება ყველგან, სადაც კი ხსნის არმია ფუნქციონირებს. ამ ყოველივეს ეფექტურად ასრულებენ ნიჭიერი ადამიანები. მათი ვალია სოციალური საქმიანობა და კრიზისის დროს დახმარება მსოფლიო მასშტაბით. აქ დასაქმებულნი არიან პროფესიონალები.

თანამედროვე პირობები და გრძელვადიანი განვითარების საკითხები უწყვეტი ხასიათისაა. არმიის პოლისი და მისი საქმიანობა საშუალებას აძლევს მას,ითანამშრომლოს სხვადასხვა სახის დახმარების სააგენტოებთან და ადგილობრივ მმართველობასთან. ხსნის არმია როგორც კერძო შემოწირულობებით, ისე საზოგადოებრივი ურთიერთობების წყალობით გააგრძელებს გაჭირვებულთა დახმარებას, ღმერთის სიყვარულის გავრცელებას და დაეხმარება ხალხს, რათა გაუმჯობესდეს მათი ყოფნა ამ წუთისოფელში და დაიმკვიდრონ ცათა სასუფეველი.

ხსნის არმია საქართველოში 1993 წლიდან მოღვაწეობს.

▪ ისტორია საქართველოში

1992 წლის ნოემბერში, ეკონომიკური კრიზისის გამწვავების შედეგად საქართველო გახდა 98-ე ქვეყანა, სადაც ხსნის არმიამ დაიწყო მსახურება.
ხსნის არმიისათვის სოციალური დახმარება ერთადერთი წმიდა სამსახური არ გახლავთ, მისი მისიაა სხეულთან ერთად სულის ხსნაც. ხსნის არმიის კორპუსები (ეკლესიები, საზოგადოებრივი ცენტრები) დღესაც აგრძელებს თავის სამსახურს როგორც თბილისში, ისე საქართველოს სხვადასხვა რაიონებში.
ის, ვინც გადააბიჯებს ხსნის არმიის ზღურბლს, აუცილებლად იპოვის ადგილს, სადაც მიიღებს სულიერ და მეგობრულ ნუგეშისცემას ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე.

▪ რწმენა

ხსნის არმიის დოქტრინები

ჩვენ გვწამს რომ ძველი და ახალი აღთქმის წერილები ღვთისულიერია და მხოლოდ ისინი შეადგენენ ქრისტიანული რწმენისა და ცხოვრების წესს.

ჩვენ გვწამს რომ არის მხოლოდ ერთი ღმერთი, რომ ის სრულყოფილია და არის ყოვლის შემომქმედი, დამცველი და მბრძანებელი და რომ მხოლოდ ის უნდა იყოს რელიგიური თაყვანისცემის ობიექტი.

ჩვენ გვწამს რომ ღმერთი სამპიროვანია-მამა, ძე და სულიწმიდა; ისინი განუყოფელნი არიან არსით და თანასწორნი არიან ძალასა და დიდებაში.

ჩვენ გვწამს რომ იესო ქრისტეს პიროვნებაში ღვთიური და ადამიანური ბუნება ერთმანეთს ერწყმის ისე, რომ ის არის ჭეშმარიტად ღმერთი და ჭეშმარიტად კაცი.

ჩვენ გვწამს რომ ჩვენი წინაპრები უმწიკვლოებაში იყვნენ შექმნილნი, მაგრამ თავიანთი დაუმორჩილებლობით დაკარგეს სიწმიდე და ბედნიერება; მათი დაცემის შედეგად ადამიანი ცოდვილია, რის გამოც ის იმსახურებს ღვთის რისხვას.

ჩვენ გვწამს რომ უფალმა იესო ქრისტემ თავისი ტანჯვითა და სიკვდილით გამოისყიდა მთელი ქვეყნიერება, რათა ეხსნა იგი.

ჩვენ გვწამს რომ ხსნისათვის აუცილებელია ღვთის წინაშე სინანული, უფალი იესო ქრისტეს რწმენა და სულიწმიდის მიერ განახლება.

ჩვენ გვწამს რომ გამართლებულნი ვართ უფალ იესო ქრისტეში რწმენის მეშვეობით და რომ ყოველ მორწმუნეს საკუთარ თავში აქვს მოწმობა.

ჩვენ გვწამს რომ ხსნის მუდმივობა დამოკიდებულია ქრისტეს მიმართ განუწყვეტლივ მორჩილებაზე.

ჩვენ გვწამს რომ ყოველ მორწმუნეს აქვს უფლება იყოს მთლიანად განწმედილი, რათა მთელი მისი სული, სამშვინველი და სხეული უმწკვლოდ იყოს შენარჩუნებული უფალ იესო ქრისტეს მოსვლამდე.

ჩვენ გვწამს სულის უკვდავება; სხეულის აღდგომა; აღსასრულისას საყოველთაო განსჯა; მართალთა საუკუნო ბედნიერება და ბოროტთა უწყვეტი სასჯელი.

▪ პროექტები

ქალთა მსახურება (ქალთა ლიგა)

ხსნის არმიის კორპუსების საზოგადოებრივ ცენტრებში ყველა ასაკის ქალბატონისათვის ფუნქციონირებს ყოველკვირეული პროგრამები, რომლებიც ასწავლის მათ ურთიერთობებს და ეხმარება განათლების მიღებაში, მათ აგრეთვე საშუალება ეძლევათ, ემსახურონ და თაყვანი სცენ ღმერთს.

მამაკაცთა მსახურება

ყველა ასაკის მამაკაცი მიწვეულია ხსნის არმიის კორპუსების საზოგადოებრივ ცენტრებში მამაკაცთა იმ პროგრამების შესასწავლად , რომლებშიც მათი ინტერესებია გათვალისწინებული. ძალიან ხშირად ყურადღება ეთმობა ქრისტიანულ ურთიერთობებს და სხვებისადმი მსახურებას.

თაყვანისცემა

ხსნის არმიის კორპუსების მთავარი ყურადღება ეთმობა საკვირაო მსახურებას, სადაც ყველას შეუძლია დასწრება. ხსნის არმიაში თაყვანისცემისას განადიდებენ უფალ იესო ქრისტეს. თაყვანისცემა სხვადასხვა გზით ხდება. მასში შედის მუსიკაც და დრამაც, ხოლო წინა პლანზე დგას ბიბლია — ღვთის სიტყვა.

ბავშვებისა და ახალგაზრდების ცენტრები

იმის გათვალისწინებით, რომ ბავშვები ჩვენი მომავალია, ხსნის არმიის საზოგადოებრივ ცენტრებში ტარდება სხვადასხვა საქმიანობები და ღონისძიებები ყველა ასაკის ბავშვისთვის. საკვირაო სკოლასთან მოქმედი ახალგაზრდული ჯგუფები და გახანგრძლივებული სკოლები ეხმარება ახალგაზრდებს და ბავშვებს, მაქსიმალურად გამოიყენონ თავიანთი შესაძლებლობები.

დამრიგებლობითი მსახურებანი

ხსნის არმიის ყველა ოფიცერს (მოძღვარს) გავლილი აქვს მოძღვრული მომზადების კურსები, რათა მოუსმინონ და დაეხმარონ მათ, ვისაც სულიერი და ემოციური პრობლემები აქვს.

საზაფხულო ბანაკის პროგრამები

ყოველ ზაფხულს ასობით მამაკაცს, ქალს და ბავშვს საშუალება ეძლევა, გაერიდოს ქალაქის გადამღლელ ცხოვრებას და ხსნის არმიის საზაფხულო ბანაკის პროგრამის დახმარებით დაისვენოს ქალაქგარეთ.

უფასო კვების სასადილოები — გაჭირვებული პენსიონრები

1999 წლიდან ხსნის არმია ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსთან ერთად საქართველოში ახორციელებდა უფასო კვების სასადილოების ფუნქციონირებას. საქართ-

ველოს სხვადასხვა რაიონებში ორჯერად ცხელ კერძს იღებდა 180,000 გაჭირვებული, მარტოხელა პენსიონერი. ამჟამად არსებული პროგრამით ყოველდღიურად ხორციელდება 4,000 პენსიონრის დახმარება თბილისში, რუსთავში, გორში, ქუთაისში და ჯვარში. თუ გავითვალისწინებთ, რომ სახელმწიფო პენსია ყოველთვიურად 7 ამერიკულ დოლარს შეადგენს, ეს პროგრამა სიცოცხლის წყაროა ბევრი პენსიონრისათვის, რომელსაც სხვა შემოსავალი არ გააჩნია.

კერძო ფონდების მიერ დაფინანსებული კვების პროგრამები

კერძო (ინდივიდუალური) ფონდების დახმარებით ხსნის არმიის საქართველოს რეგიონი აგრძელებს ასობით გაჭირვებული ადამიანის დახმარებას კვების პროგრამებით, რომლებიც ფუნქციონირებს ხსნის არმიის კორპუსებში (ეკლესიებში) და სხვა ადგილებში. ასეთი სახის დახმარებების გაგრძელება ფონდებზეა დამოკიდებული. ამჟამად კვების პროგრამები ფუნქციონირებს თბილისში (2 სასადილო), რუსთავში (2 სასადილო) და ლაგოდეხში.

პროფესიული სასწავლო ცენტრები/ კომპიუტერის შემსწავლელი კურსები

ამერიკის სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოსთან ერთად ხსნის არმიის საქართველოს განყოფილებაში გაიხსნა პროფესიული სასწავლო ცენტრი, სადაც ახალგაზრდებს საშუალება ეძლევათ, 6- თვიანი კურსების გავლის შემდეგ დაეუფლონ პროფესიას, მიიღონ განათლება და გაიარონ პრაქტიკა სამუშაო ადგილების მოსაძებნად. კურსებში შედის სამდივნო, კომპიუტერის, მშენებლობა-სანტექნიკის და საბუღალტრო პროფესიების დაუფლება. დამატებით გაიხსნა 4 კომპიუტერული ცენტრი ლაგოდეხში, გორში, ჩხოროწყუში და ჯვარში. ამ პროგრამის მიზანია, რომ რაიონებში ხალხისათვის კომპიუტერი ხელმისაწვდომი გახდეს. აღნიშნული პროგრამები ამჟამად დაფინანსების გაგრძელებას საჭიროებს.

დიდი დიღმის ბავშვთა ცენტრი

სპონსორების წყალობით, ბავშვთა ცენტრში ფუნქციონირებს გახანგრძლივებული სკოლები სადაც 50 ბავშვს ყოველდღიურად უტარდება მოსამზადებელი გაკვეთილები პროფესიონალი მასწავლებლების მიერ. პროგრამაში აგრეთვე შედის მუსიკის და ეროვნული ცეკვის გაკვეთილები. ბავშვები არიან გაჭირვებული ოჯახებიდან და ისინი ამ ცენტრში ყოველდღიურად ცხელი კერძით იკვებებიან.

ბავშვთა სპონსორობის პროგრამა

საქართველოს მასშტაბით, ქართველი ბავშვები დახმარებას იღებენ ხსნის არმიის "საერთაშორისო ბავშვთა სპონსორობის პროგრამის" მეშვეობით. ამ პროგრამის ფარგლებში ბავშვები უზრუნველყოფილნი არიან სხვადასხვა აუცილებელი სასკოლო ნივთებით, საკვებით, ტანისამოსით და წამლებით.

სამგორის ხანდაზმულთა ცენტრი

სამგორის რაიონში ხანდაზმულთა ცენტრში ფუნქციონირებს სხვადასხვა სახის პროგრამები და საქმიანობები.

რუსთავის ახალგაზრდული ცენტრი

რუსთავის სხვადასხვა რაიონიდან მოდიან ბავშვები და ახალგაზრდები გახანგრძლივე-

ბულ სკოლაში, რომელიც ფუნქციონირებს ხსნის არმიის ბაზაზე. მასწავლებლები ეხმარებიან ბავშვებს საშინაო დავალებების შესრულებაში, აძლევენ ინსტრუქციებს სხვადასხვა საკითხებზე. იმის ნაცვლად, რომ რუსთავის ქუჩებში იხეტიალონ, ახალგაზრდებს შეუძლიათ დაისვენონ დაცულ და კომფორტულ გარემოში.

ხსნის არმიის სხვა პროექტები

ხსნის არმია საქართველოში ფუნქციონირებს გაჭირვებულთა დასახმარებლად. იგი ახორციელებს განვითარებისა და ჰუმანიტარული დახმარების პროგრამებს. ამჟამინდელ პროექტებში შედის ახალგაზრდა და მომავალი დედების ტრენინგები, ცხინვალში წყლის სისტემის შეკეთება და მეორადი მოხმარების ტანისამოსის განაწილება ხსნის არმიის კორპუსების მიერ.

ჩვენ ვხედავთ იმას, რასაც სხვები ვერ ხედავენ

ლექსიკონი

ა

ალაჰი — უფლის სახელი ისლამში

აბატი — მღვდელი, მომდინარეობს არამეული სიტყვისგან "აბბა" რაც ნიშნავს მამას.

ადვენტი — ლათინური სიტყვიდან "ადვენტ", რაც ნიშნავს "მოსვლას". აქედან მომდინარეობს "მეშვიდე დღის ადვენტისტების" სახელიც, რამდენადაც მათი სწავლების უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს მეორედ მოსვლა.

ადონაი — ღმერთის ერთ-ერთი ბიბლიური სახელი, რაც ნიშნავს "უფალი ჩემი".

ალაჰი — ღვთის სახელი არაბულად.

ანაბაპტისტები — ხელმეორედ ნათლობის მაღიარებლები. ძველი პროტესტანტული ეკლესია.

აპოკალიფსი — ახალი აღთქმის ბოლო წიგნი, რომელსაც ქართულად "გამოცხადება" ეწოდება.

აპოკრიფი — ბიბლიური და არაბიბლიური სასულიერო შინაარსის წიგნები, რომლებიც ეკლესიის რწმენის თანახმად სულიწმინდის მადლით არ არიან. ზოგჯერ ეს წიგნები მოიხსენიება, როგორც "არაკანონიკური" და "დაუბეჭდავი" წიგნები.

ბ

ბაპტისტერიუმი – სანათლავი, ადგილი, სადაც ნათლისღების რიტუალი სრულდება.

გ

გამოსვლათა — მოსეს ხუთწიგნეულის მეორე წიგნი, სადაც ისრაელიანების ეგვიპტიდან გამოსვლაა აღწერილი.

განსაწმედელი — კათოლიკების რწმენა დროებითი სატანჯველის, პურგატორიუმის შესახებ. იგივეა, რაც სალხინებელი.

გრიგორისეული კალენდარი — იგივე "ახალი სტილის" კალენდარი, რაც იულიუსის კალენდრის რეფორმირებულ ვარიანტს წარმოადგენს. იგი რომის პაპმა გრიგორიუს XIII-მ 1582 წელს მიიღო, რათა ასტრონომიულ სეზონთა მიჯნებს (მზებუნიობა და ბუნიობა), რომლებთანაც შობა და აღდგომაა მისადაგებული, იგივე თარიღები შერჩენოდათ, რაც IV საუკუნეში დადგინდა. რეფორმის თანახმად, დღეთა ათვლამ 10 დღით წინ გადაინაცვლა. XX საუკუნის 20-იან წლებში აღმოსავლეთის მართლმადიდებელ ეკლესიებშიც დამკვიდრდა ახალი კალენდარი, გარდა იერუსალიმის, რუსეთის, საქართველოსა და რუმინეთის ეკლესიებისა.

გრიგორიანობა — სომხური სამოციქულო ეკლესია, სომხეთში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა IV საუკუნის პირველ ათეულში. განმანათლებელი იყო გრიგოლ პირველი, აქედან გამომდინარეობს სომხური ეკლესიის მეორე, არაოფიციალური სახელი გრიგორიანობა.

დ

დაბადება — ბიბლიის პირველი წიგნი, იგივე "შესაქმე".

დავითნი — ფსალმუნთა წიგნი. ფსალმუნთა დიდი ნაწილი, ებრაული ტრადიციის მიხედვით, წინასწარმეტყველი და მეფე დავითის მიერაა დაწერილი.

დეკანოზი – წინამძღვარი.

დენომინაცია – ლათინური სიტყვაა და სიტყვასიტყვით "გადარქმევას" ნიშნავს. რელიგიათმცოდნეობაში მას რელიგიური მიმდინარეობის მნიშვნელობა აქვს.

დიაკონი — იერარქიულად ყველაზე დაბალ საფეხურზე მდგომი სასულიერო პირი. ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს მსახურს.

დიოფიზიტობა — ქრისტეს ორბუნებიანობის დოგმატი. იესო იყო სრული ღმერთი და სრული კაცი. ეს დოგმატი 451 წელს IV მსოფლიო საეკლესიო კრებაზე ჩამოყალიბდა მონოფიზიტობის საწინააღმდეგოდ.

დოგმატი — ბერძნული სიტყვაა და მოძღვრებას ნიშნავს. მაგრამ ღვთისმეტყველებაში მას უცვლელი, მტკიცე მოძღვრების მნიშვნელობა აქვს. დოგმატები ეფუძნება წმინდა წერილს.

ე

ეგზეგეტიკა– ბერძნული სიტყვა "ეგზეგესი" ნიშნავს განმარტებას. სასულიერო მწერლობის დარგი, რომელიც ბიბლიის ცალკეული მონაკვეთების შინაარსობრივ განმარტებას მოიცავს.

ევანგელე — "ევანგელიონ" — კეთილი ამბის უწყება, სახარება.

ევქარისტია — ზიარება. სიტყვასიტყვით მადლობის შეწირვას ნიშნავს. შვიდ საეკლესიო საიდუმლოებათაგან ერთ-ერთი.

ეკლესია — ბერძნული სიტყვიდან "ეკკალიო", რაც ნიშნავს მოხმობას. ქრისტიანულ ტრადიციის მიხედვით იგი ნიშნავს თანამორწმუნეთა საზოგადოებას, ქრისტეს სხეულს.

ეკლესიათა მსოფლიო საბჭო — იმ ეკლესიათა მსოფლიო თანამეგობრობა, რომლებიც იესო ქრისტეს მხსნელად და მაცხოვრად აღიარებენ. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია მასში გაწევრიანდა 1982 წელს. კათოლიკოს-პატრიარქი ილია II იყო მისი თანაპრეზიდენტი. 1997 წელს ეკლესია გამოვიდა მსოფლიო ეკლესიათა საბჭოდან. საქართველოში არსებული დენომინაციებიდან მხოლოდ სომხური სამოციქულო ეკლესიაა მსოფლიო ეკლესიათა საბჭოს წევრი.

ეკლესიასტე – ძველი აღთქმის კანონიკური წიგნია, რომლის ავტორადაც მეფე სოლომონი ითვლება.

ეკუმენიზმი – ბერძნული სიტყვიდან "ოიკუმენე", რაც ნიშნავს დასახლებას, ბინადრობას. მეორე მნიშვნელობით მსოფლიოს ნიშნავს, ეკუმენური კრება ნიშნავს მსოფლიო საეკლესიო კრებას (ვიდრე სქიზმამდე).

ენციკლიკა — რომის პაპის ვრცელი და საყოველთაო წერილი.

ვ

ვატიკანი — რომის უბანი, სადაც მდებარეობს საფლავი და პაპის რეზიდენცია. 1929 წლიდან ლატერანის ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც წმინდა საყდარსა და მუსოლინის მთავრობას შორის გაფორმდა, იგი დამოუკიდებელი სახელმწიფოა.

ვულგატე – ბიბლიის ლათინური თარგმანი, რომელმაც ნეარმა იორონიმუსმა 386-406 წლებს შორის შეასრულა. ნიშნავს "საყოველთაოს".

ზ

ზიარება – წმიდა საიდუმლო, რითაც მორწმუნე ღმერთთან ამყარებს კავშირს.

ზოროასტრიზმი – მაზდეანობა, ცეცხლთაყვანისმცემლობა.

თ

თალმუდი – ებრაელთა რელიგიურ-ზნეობრივი, სოციალურ-ზნეობრივი და სოციალურ-სამართლებრივი კანონების კრებული, ძირითადად, ძველი აღთქმის კომენტარებით.

თეოკრატია – ეკლესიის მიერ სახელმწიფოს მართვა.

თეოლოგია – ღვთისმეტყველება.

თეოსოფია – "ღვთის სიბრძნე", თვითშემეცნების რელიგიურ-მისტიკური მოძღვრება, რომელსაც საფუძვლად რუდოლფ შტაინერის თეორიები უდევს.

თორა — ძველი აღთქმის პირველი ხუთი წიგნი, რომელსაც ებრაელები რჯულის წიგნს ეძახიან. მას სინაგოგაში კითხულობენ, იგი დაწერილია ეტრატის გრაგნილზე.

ი

იაჰვე – ძველებრაული ტეტრაგრამატონის "იჰვჰ"-ს თანამედროვე გახმოვანება, რაც ნიშნავს მყოფი, არსებული, ჭეშმარიტი. "მე ვარ, რომელი ვარ!" (გამოსვლა 3:14).

იეზუიტები — ლათინური "იესოს საზოგადოება". ბერ-მონაზონთა ორდენი რომის კათოლიკურ ეკლესიაში. დაარსდა 1534 წელს პარიზში. კონტრრეფორმატორული ძალა, რომელიც აქტიურ მისიონერულ მოღვაწეობას ეწეოდა.

ინდულგენცია — ლათ. "წყალობის სიგელი", რომელსაც შუა საუკუნეებში რომის პაპები გასცემდნენ ცოდვების მისატევებლად.

ინკვიზიცია — ლათ. "გამოძიება". საგამომძიებლო-სასამართლო ორგანო, ტრიბუნალი კათოლიკურ ეკლესიაში. მიზანი იყო ერეტიკოსებისა და ჯადოქრების დასჯა.

ისლამი — "ალაჰის ნებისადმი დამორჩილება".

ისმაილიტები — აბრაამის პირველი ვაჟის, ისმაილის შთამომავლები, მუსულმანთა საერთო სახელი.

კ

კაბალისტიკა — ებრაულ წიგნზე, კაბალაზე დაფუძნებული რელიგიურ-მისტიკური საიდუმლოებით მოცული მოძღვრება.

კათოლიკე — საყოველაო, მსოფლიო ეკლესიის საერთო სახელი. რომის კათოლიკური ეკლესიის წევრი.

კალვინიზმი — პროტესტანტული მიმდინარეობა, რეფორმაციული ეკლესია, რომლის დამაარსებელი იყო ჟან კალვინი (1509-1564). მისი მოძღვრების მთავარი ნიშანია მომავლის წინასწარგანსაზღვრულობა.

კარდინალი — პაპის შემდეგ უმაღლესი სასულიერო თანამდებობა რომის კათოლიკურ ეკლესიაში.

კატეხიზმო — ბერძ. დარიგება. ქრისტიანული მოძღვრების მოკლე გადმოცემა კითხვა-პასუხის სახით.

კლერიკალიზმი — "კლერიკოს" ბერძნ. სამღვდელო. ეკლესიის დიქტატი ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკაში.

კონკორდატი — ხელშეკრულება, რომელსაც ვატიკანი დებს სხვადასხვა სახელმწიფოებთან.

კრეაციონიზმი — მოძღვრება სამყაროს შექმნის შესახებ.

ლ

ლავრა – დიდი მონასტერი.

ლევიანები – იაკობის შვილის, ლევის შთამომავლები, რომელთაც ძველაღთქმისეულ ტაძარში ღვთისმსახურების უფლება ჰქონდათ.

მ

მარიოლოგია — მოძღვრება ღვთისმშობელი მარიამის შესახებ. კათოლიკურ ეკლესიაში არსებობს ორი დოგმატი: ღვთისმშობლის უბიწოდ ჩასახვის შესახებ (მართლმადიდებელი ეკლესია ემიჯნება ამ დოგმატს) და ღვთისმშობლის ამაღლება.

მექა — მუჰამედის დაბადების ადგილი, წმიდა ქალაქი.

მედინა — წმიდა ქალაქი, სადაც თავი შეაფარა მუჰამედმა 622 წელს.

მეთოდისტები — პროტესტანტული ეკლესია. შეიქმნა 1729 წ. ინგლისში. მოითხოვენ ეკლესიის წესების ზუსტ, მეთოდურ შესრულებას.

მენონიტები — პროტესტანტული ეკლესია, რომელიც მღვდელმა მენო სიმონსმა 1536 წელს დააარსა. არსებითი ნიშანია მეორედ მოსვლის მძაფრი მოლოდინი, ქრისტეს ათასწლოვანი სამეფოს დაარსების რწმენა.

მისიონერი — ეკლესიის მიერ მოძღვრების გასავრცელებლად გაგზავნილი მქადაგებელი.

მოლა — არაბ. "ბატონი", მუსლიმთა ღვთისმსახური.

მონოთეიზმი — რელიგია, რომელიც ერთ ღმერთს აღიარებს.

მუფთი — მუსლიმთა ღვთისმეტყველი, ყურანის განმმარტებელი, უმაღლესი სასულიერო პირი.

მუჰამედი — წინასწარმეტყველი და ისლამის დამაარსებელი. დაიბადა 570 წელს და გარდაიცვალა 632წ.

მუსულმანი — მუჰამედის მიმდევარი "მორჩილი"

მეჩეთი — ტაძარი, ღვთისმსახურების ადგილი ისლამში.

მწვალებლობა — ერესი; ნაწარმოებია სიტყვიდან "განწუალება", რაც ნიშნავს გამოყოფას.

ნ

ნამაზი — მუსულმანთა ლოცვა, რომელსაც დღეში ხუთჯერ იმეორებენ.

ნუნციუსი — რომის პაპის წარმომადგენელი, ელჩი რომელიმე სახელმწიფოში.

ო

ობსკურანტიზმი — ლათ. "ბნელი", განათლებისა და მეცნიერების მტრობა.

ორთოდოქსია — რაიმე მოძღვრების განუხრელად, ურყევი თანამიმდევრობით შესრულება.

პ

პასექი — "ფესახ", გვერდის ავლა. ეგვიპტის მონობიდან გამოსვლის წინ ისრაელიანების ოჯახებს ღვთის ანგელოზმა გვერდი აუარა, რადგანაც წირთხლზე კრავის სისხლი ჰქონდათ წასმული და არ დაუხოცა პირმშოები.

პატრისტიკა — საეკლესიო მწერლობა, რომელიც ეკლესიის მამათა ნაშრომებს შეისწავლის.

პილიგრიმობა — მომლოცველობა

პოლითეიზმი — მრავალღმერთიანობა.

პროზელიტიზმი — "ახალმოქცევა" ან ღონისძიება სხვა სარწმუნოების მიმდევართა გადმოსაბირებლად.

რ

რაბი — ებრ. "მოძღვარი".

რაბინი — სინაგოგის წინამძღვარი.

რამაზანი — მუსულმანური კალენდრის მეცხრე თვე, დრო როცა მუჰამედმა მიიღო ყურანი ზეციდან, ერთთვიანი მარხვა.

ს

სადუკევლები — პოლიტიკურ-რელიგიური მიმდინარეობა იუდეველთა შორის. არ სწამდათ ანგელოზების, სულის უკვდავების, მკვდრეთით აღდგომის.

საენტოლოგია — ამერიკული წარმოშობის რელიგიურ-ფილოსოფიური ასკეტური სისტემა. დამაარსებელი ლაფაიეტ რონალდ ჰაბბარდი (1911-1986). წარმოადგენს ქრისტიანობისა და სხვა რელიგიების კონგლომერატს. გამოირჩევა სიმკაცრით.

საკრალური — წმიდა, ღვთისთვის განკუთვნილი.

სალოსი — ქრისტესათვის სულელი. ასკეტური ცხოვრების ფორმა, "ღვთის გლახა".

სეკულარიზაცია — ლათ. "სეკულარის" ნიშნავს საეროს. ეკლესიის გავლენისაგან საზოგადოების გათავისუფლება.

სექტა — ლათ. ნიშნავს გამოყოფას, ჩამოჭრას, მოკვეთას.

სიონიზმი — ებრაელთა რელიგიურ-პოლიტიკური მოძრაობა, რომელიც 1897 წელს შეიქმნა და ებრაელთა სახელმწიფოს აღდგენას ისახავდა მიზნად.

სტაროვერები (სტაროობრიადცები) — ძველმართლმადიდებლები.

სუბოტნიკები— მეშაბათეები, რუსული წარმოშობის იუდაურ-ქრისტიანული დენომინაცია, ჩამოყალიბდა XVII-XVIII საუკუნეებში, ატარებდნენ წინადაცვეთის რიტუალს და შაბათს იცავდნენ.

სუნა — არაბ. წმიდა გადმოცემა ისლამში.

სუფიტები — ფილოსოფიურ-მისტიური სწავლება ირანში, რომელთაც თავისებური ინტერპრეტირება გაუკეთეს ისლამს.

სუნიტები — ისლამის ყველაზე მრავალრიცხოვანი განშტოება, რომელიც აღიარებს მუჰამედის ყველა მემკვიდრეს.

სურა — ყურანის თავი.

სალლათი - მუსლიმის ყოველდღიური ლოცვის რიტუალი.

სქიზმა — კანონიკურ საფუძველზე ეკლესიებს შორის ევქარისტიული კავშირის გაწყვეტა.

ტ

ტიპიკონი — ბერძ. ღვთისმსახურების წესი, ქარგა. იგივეა, რაც ლათინური რიტი.

უ

უნია — კათოლიკური და არაკათოლიკური ეკლესიების გაერთიანება რომის პაპის მეთაურობით.

ფ

ფანატიზმი — ლათ. გაშმაგება. რაიმე სწავლებით უკიდურესად გატაცება, ბრმადმორწმუნეობა.

ფარისევლები — იუდეველთა სექტა, მოქმედებდა ძველი და ახალი წელთაღრიცხვების მიჯნაზე, ყურადღებას ამახვილებდნენ რჯული გარეგნულ მხარეებზე.

ფილეტიზმი — ბერძ. "მეტომეობა", ეკლესიოლოგიური ერესი, ეკლესიის ეროვნული პრინციპით ორგანიზება (მაგ. ქართველების ეროვნული ეკლესია), ზოგადად ნაციონალიზმი ეკლესიაში.

ფილიოკვე — კათოლიკური სწავლება სულიწმიდის ძისაგან გამოსვლის შესახებ.

ქ

ქორონიკონი — ბერძ. დროის აღრიცხვის 532-წლიანი სისტემა. საქართველოში დაინერგა VIII საუკუნეში.

ქრისტე — ბერძ. ცხებული, მესია, განკაცებული ღმერთი.

ღ

ღვთის შვილები — ულტრაპროტესტანტული ეკლესია, ცნობილია ჰიპების მოძღვრების სახელით, დაარსდა ამერიკაში 1978 წელს დევიდ ბერგის მიერ. ახასიათებს მძაფრი ესქატოლოგიური მოლოდინი და ლიდერისადმი მორჩილება. ხშირად უწოდებენ "ტოტალურ სექტას".

ყ

ყადი — არაბ. მუსულმანთა სასულიერო მსაჯული.

ყურანი — ღვთივშთაგონებული სიტყვა, რომელიც ანგელოზ ჯიბრაელის მეშვეობით მიეცა მუჰამედს.

შ

შიიტები — ისლამის განშტოება, რომლის მიმდევრებიც აღიარებენ, რომ მუჰამედის სიძე ალი იყო მისი სრულუფლებიანი მემკვიდრე.

ც

ცელიბატი — დაუქორწინებლობის აღთქმა.

ძ

ძველი აღთქმა — ბიბლიის პირველი ნაწილი, ძველი ტრადიციით 22 წიგნი. სახელი ღმერთსა და ადამიანს შორის დადებული აღთქმიდან გამომდინარეობს.

წ

წარმართობა — ბუნებითი რელიგია, კერპთაყვანისმცემლობა.

წინადაცვეთა — ჩუჩის მოჭრა, რაც პირველად აბრაამმა ღვთის შთაგონებით აღასრულა. წინადაცვეთილი იყო ისმაილიც და ისააკიც. აქედან ეს რიტუალი არის იუდაიზმსა და ისლამში. ეს არის ინიციაციის რიტუალი.

ხ

ხალიფა — არაბ. ნაცვალი, მოადგილე. მუჰამედის საქმის გამგრძელებელნი.

ხატმებრძოლეობა — ერესი, რომელიც აღმოსავლეთის მართლმადიდებელ ეკლესიებში VII-VIII საუკუნეებში მძვინვარებდა. 787 წელს ნიკეის საეკლესიო კრებამ დაგმო ხატმებრძოლეობა.

ხლისტები — რუსული სექტა, რომელიც ცნობილია 1732 წლიდან. ისინი აღმერთებენ ლიდერს და მიიჩნევენ ქრისტედ.

ჯ

ჯიჰადი — არაბ. ბეჯითობა. მუსლიმთა საღვთო ომი სარწმუნოების დასაცავად.

ჰ

ჰადითი — მუჰამედის საკრალური ნათქვამები, რომლებიც ზეპირად გადაეცემოდა თაობიდან თაობას და მოგვიანებით ჩაწერილი იქნა.

ჰაჯი — მომლოცველობა მექაში, ჭეშმარიტი მუსულმანის პილიგრიმობა. ისლამში რწმენის ერთ-ერთი ბურჯი (სულ ხუთია).

ჰიჯრა — მუჰამედის გაქცევა მექადან მედინაში 622 წელს ჩვ.წ.

ჰომილეტიკა — ქადაგების ხელოვნება, ქადაგების ტექსტების შესწავლა.

ჰიპოსტაზი — ბერძ. პიროვნება, პირი, სახე. თეოლოგიაში სამების თითოეულ პირი.

ჰუგენოტები — იგივე კალვინისტები. XVI-XVII საუკუნეებში კათოლიკური ეკლესია სდევნიდა. მათ მოუწყვეს "ბართლომეს ღამე".

ცხრილები

	სახელწოდება	წევრთა რაოდენობა	საქართველოში შემოსვლის დრო	ეთნიკური შემადგენლობა	ადგილი
1	**ახალსამოციქულო ეკლესია**	700	1994	სომხები, ოსები, ქართველები	თბილისი, ბათუმი, ქუთაისი, ახმეტა
2	**დუხობორები**	3 500	XIX-	რუსები	ჯავახეთი, ბოგდანოვკა
3	**ევანგელურ-ლუთერული ეკლესია**	500	1917-1918	გერმანელები, ქართველები, რუსები, სომხები	თბილისი, ქუთაისი, სოხუმი, ბორჯომი, რუსთავი, გარდაბანი.
4	**იეჰოვას მოწმეები**	15 000	1953		თბილისი
5	**კვაკერები**	2 კომლი	2004-2005	ქართველები, ამერიკელები	თბილისი
6	**მოლოკნები**	800	XIX ბოლო	რუსები	თბილისი, სიღნაღი, საგარეჯო
7	**მეშვიდე დღის ადვენტისტები**	400	1904	ქართველები, სომხები, რუსები	თბილისი, რუსთავი, სოხუმი, ქუთაისი, ბათუმი, გორი
8	**მორმონები**	50	2001-		თბილისი
9	**მშვიდობის მსოფლიო ორგანიზაცია (მუნიტები)**	30	2005	რუსები, ყირგიზები	თბილისი
10	**ორმოცდა-ათიანელთა ეკლესია**	5 000	1939	ოსები, რუსები, ქართველები, სომხები	თბილისი, ქუთაისი, რუსთავი, გორი, ბათუმი

11	**ქარიზმატული ეკლესია**	1 500	1995	ოსები, რუსები, სომხები ქართველები	თბილისი, ქუთაისი, ბათუმი
12	**რეფორმატორები**	300	1995	რუსები, სომხები ქართველები	ბათუმი
13	**რომის კათოლიკური ეკლესია**	50 000	XII	ქართველები, რუსები, სომხები, ასირიელები	თბილისი, ბათუმი, ქუთაისი, ახალციხე, ადიგენი
14	**საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია**	5 000	1860	ქართველები სომხები, ოსები, რუსები	თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, ცხინვალი, გორი, ლაგოდეხი
15	**სომხური სამოციქულო ეკლესია**	400000	V	სომხები	თბილისი, ბათუმი, სამცხე-ჯავახეთი
16	**სტაროვერები — ქართველები**	150	XIX	რუსები,	ფოთი, თბილისი
17	**ხსნის არმია**	500	1994		თბილისი, რუსთავი, ბათუმი, ლაგოდეხი

	სახელწოდება	რაოდენობა	თარიღი	ადგილი
1	**ისლამი**	434000	VII	გარდაბანი, დმანისი, მარნეული, ბოლნისი, რუსთავი, თბილისი, ბათუმი
2	**იეზიდიზმი (ქურთები)**	30 000	1875	კახეთი, ქვემო ქართლი, მცხეთა-მთიანეთი
3	**იუდაიზმი (ებრაელები)** ▪ **სეფარდი** ▪ **აშკენაზი**	10 000	ძვ.წ. VI	თბილისი, ქუთაისი
4	**ბაჰაიზმი**	500	1925	თბილისი, გორი
5	**კრიშნას ცნობიერება**	200	1992-1995	თბილისი

ჩანაწერებისთვის